პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მეზღ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

№ 139 ოთხშაბათი 20 ივნისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 75,000 მან.

№ 139

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

დ ღ ი უ რ ი

— ბულგარეთში გრძელდება ძველი მინისტრების დატუსაღება.

— საოკუპაციო ჯარმა მიითვისა რეიხსბანკის [illegible] მილიარდი მარკა.

— საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა რურის ოლქს გამოუცხადოს შიმშილის ბლოკადა.

— პოლონეთში მოჰკლეს თეთრგვარდიელების გენერალი ბალახოვიჩი.

— ლოზანაში სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერას მოელიან ამ კვირაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას აძლევს საუბნო კომიტეტებს და უჯრედებს პარასკევს, 22 ივნისს
ერთიანი პარტიულ დღეს თვითონ წამოაყენონ დღის წესრიგი.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: რ უ ბ ე ნ ი.

დახმარება სასოფლო მეურნეობას

ცაკის მიმდინარე სესიის დღის წესრიგში, სხვათა შორის, დასმულია საკითხი აგრონომიული დახმარების ორგანიზაციის შესახებ.

ძველის-ძველი ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენი ქვეყანა უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. სასოფლო მეურნეობის აღორძინებაზეა მეტ წილად დამოკიდებული მთელი რესპუბლიკის ეკონომიკა, მრეწველობის განვითარებაც, ხალხის კეთილდღეობაც.

ამიტომ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა ხელისუფლების ერთ უმთავრეს ამოცანას უნდა შეადგენდეს სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის ყოველმხრივი ხელის შეწყობა.

მიწის რეფორმის ჩატარებამ, ფეოდალური ნაშთების სრულიად აღმოფხვრამ, მიწის გადაცემამ მშრომელ გლეხობისათვის შექმნა დიდი სტიმული და შესაძლებლობა გლეხური მეურნეობის აყვავებისა და გაფართოებისათვის.

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს მნიშვნელობა მარტო ამ რეფორმის, მით არ შეიძლება განისაზღვროს საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა სასოფლო მეურნეობის აღორძინების და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

ჯერ ერთი, ჩვენში მიწის რაოდენობა საერთოდ მცირეა და ობიექტიურად შეუძლებელი იყო მით მოსახლეობის საჭსებით დაკმაყოფილება.

შემდეგ, მიწა კიდევაც რომ ყოფილიყო საკმარისი და ის ყველას რგებოდა საჭირო რაოდენობით, ამით მაინც ვერ ჩაითვლებოდა გადაჭრილად სასოფლო მეურნეობის აღორძინების საკითხი.

ჩვენი ამოცანა ასეთია: ნაკლებ მიწაზედ მეტი მოსავალი შრომის და საშუალებათა მინიმალური დახარჯვით.

ჩვენს წინაშე დგას საკითხი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ინტენსიფიკაციის შესახებ მისი რაციონალურად დამუშავების გზით.

ვინ არ იცის, რომ ჩვენს გლეხს ჯერაც ვერ დაუღწევია თავი მიწის დამუშავების პრიმიტიული წესებისა და იარაღებისათვის. იგი მოკლებულია თანამედროვე აგრონომიის ელემენტალურ ცოდნასაც კი და საჭირო უკანასკნელ ტეხნიკურ საშუალებებს, სამიწად-მოქმედო იარაღებს.

ჩვენ უნდა მივაწოდოთ გლეხობას აგრონომიული ცოდნა. და ეს უნდა მოხდეს არა მარტო სასოფლო სამეურნეო სკოლების გახსნის და მათში მეურნეთა მომზადების გზით, არამედ უმეტესად პრაქტიკულად, სხვა და სხვა საცდელ მინდვრების მოწყობით და იქ გლეხებისათვის თვალსაჩინო განმარტებების მიცემით, სახალხო საუბრების მოწყობით და სხ.

შემდეგ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ გლეხობის მომარაგებას სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

ერთხელაც არის ჩვენმა გლეხმა თავი დაანებოს პრიმიტიულ თოხს და გუთანს და იგემოს მან მანქანის მადლიანი ძალა.

ფართე მასშტაბით ამის განხორციელება, რა თქმა უნდა, დიდ თანხას მოითხოვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მის გაღებას რამდენიმედ შესძლებს კოოპერატიულად შეკავშირებული გლეხობა. ოღონდ საჭიროა ამ საქმის გონიერი ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა.

სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერების გაზრდას ხელს შეუწყობს არა მარტო აგრონომიულ ცოდნის გავრცელება და მიწის მანქანით დამუშავებაზე გადასვლა, არამედ იმ სამელიორაციო სამუშაოების შესრულება, რომლებიც დაწყებულია ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან. ჩვენ ვლაპარაკობთ არხების გაყვანაზე, ჭაობების ამოშრობაზე, მდინარეთა ნაპირების გამაგრებაზე და სხ.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ მხრივ ბოლო დროს მუშაობა რამდენიმედ შეფერხდა.

მუშაობა სამელიორაციო დარგში უნდა განახლდეს, მას უნდა მიეცეს გეგმიანი და სისტემატიური ხასიათი, და ეს კიდევაც ხდება.

კიდევ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სასოფლო მეურნეობისათვის დახმარებაზე, აუცილებლად საჭიროა ზომების მიღება ამ მეურნეობის ნაწარმოებისათვის ბაზრის შოვნაზე. თუ გაგრძელდა დღევანდელი მდგომარეობა, როცა ძირიან ფესვიანად დარღვეულია პროპორცია მრეწველობის ნაწარმოების და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ღირებულებას შორის, როცა პუდი, როგორც იტყვიან, ჩალის ფასად ღირს,—შეუძლებელია ლაპარაკი სოფლის მეურნეობის ზრდაზე და მისი ნაწარმოებელ გლეხობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. დღევანდელი მდგომარეობა ჩვენს სასოფლო მეურნეობას დაღუპვას უქადის, რაც საბოლოო ანგარიშით დასცემს მრეწველობასაც. ამ მხრივ, ვიმეორებთ, აუცილებელია რადიკალურ ღონისძიებათა გამონახვა.

ცაკის მიმდინარე სესია ყველა ამ საკითხებზე იქონიებს მსჯელობას და გამოიმუშავებს ზომებს მათი მოსაგვარებლად, რამდენადაც ეს შესაძლებელია დღევანდელ ობიექტიურ პირობებში.

სასამართლოს რეფორმა

(ცაკის მე-4 სესიის გამო).

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის IV სესიაზე წარდგენილი პროექტი სასამართლოს რეფორმის შესახებ, წარმოადგენს სასამართლოს მუშაობას დარგში იმ შედეგების აღნუსხვას, რომელიც მოჰყვა უკანასკნელ წლების პრაქტიკას. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მიღებულმა და მოქმედებაში შესულმა სისხლის სამართლის კოდექსმა, მოაქცია სასამართლოების მრავალფეროვანი შემოქმედება ადგილებზე სისხლის სამართლის კანონების განსაზღვრულ ჩარჩოებში. იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომის 4 სესიაზე შეტანილმა სისხლის სამართლის—პროცესუალურმა კოდექსმა ერთ სისტემაში უნდა ჩამოაყალიბოს სამოსამართლო პრაქტიკა წინასწარ გამოძიებისა და სასამართლოს პროცესის სფეროში. სასამართლოს მოწყობის პროექტმა თავის მხრივ ბოლო უნდა მოუღოს აჭრელებულ სასამართლო დაწესებულებებს და მოაქციოს ისინი მთლიან, ერთი აზრით გაჟღენთილ სისტემაში. თავის შინაარსით, პროექტი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, არა მარტო როგორც პრაქტიკული შემოქმედების ნიმუში, რომელიც გამოხატავს თანამედროვე მომენტის საჭიროებებს,—იგი დამუშავებულია თეორეტიულის მხრივაც, რამდენადაც იგი გამოხატავს მარქსისტულ მიდგომას სასამართლო დაწესებულებათა აღმშენებლობასადმი.

სამოქალაქო ომის გამოცდილება, როგორც რუსეთში, ისე მსოფლიო მასშტაბით: უნგრეთის კომუნისტებისადმი ჯალათურათ მოქცევა, კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მკვლელთა საქმე, დომბალის პროცესი პოლონეთში და სხვა მეტრმეტყველურად ამტკიცებს მარქსისტულ თეორიას ყოველგვარი სასამართლოს კლასიური შინაარსის შესახებ.

იცავს რა ერთგულად ამ პრინციპს (კლასიური სასამართლოსი) და ამცლავნებს რა ბურჟუაზიულ „ზეკლასიურ და ერთნაირად სამართლიან" ფემიდას სიყალბეს და თვალთმაქცობას, საბჭოთა სახელმწიფოს არ შეეძლო არ შეეფარდებია თავისი სასამართლო აპარატი კლასიურ პროლეტარულ სახელმწიფოს საბჭოებთა და მშრომელთა მასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. გამოდის რა ამ პრინციპიდან, სასამართლოს მოწყობის პროექტის პირველივე მუხლი აშკარათ და ნათლად აყალბებს სასამართლოს შემდეგ ამოცანებს: „პროლეტარული რევოლიუციის მონაპოვართა დაცვის, სახელმწიფოს ინტერესების და მშრომელთა უფლებების უზრუნველყოფის და მათი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაერთიანების მიზნით, მოქმედებს სასამართლო დაწესებულებათა შემდეგი ერთიანი სისტემა". თუ ჩვენ ამავე დროს მოვიგონებთ სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომში შეტანილ სამოქალაქო კოდექსის პირველ მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ „სამოქალაქო უფლებები დაცულია კანონით, გარდა იმ შემთხვევათა, როდესაც ეს უფლებები ხორციელდება მათი სოციალურ სამეურნეო დანიშნულებისამებრ", ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ჩვენი სასამართლოს ძირითად ამოცანას შეადგენს მშრომელთა უფლებების და მათი სახელმწიფოს დაცვა, როგორც სისხლის სამართლის, ისე წმინდა-უფლებრივ სფეროში.

15-ე მუხლი გამორიცხავს სახალხო მსაჯულთა შემადგენლობიდან ყველა იმ პირებს, რომელთაც არ აქვთ უფლება არც იყონ არჩეული და არც აირჩიონ ვინმე საბჭოებში, ე. ი. არა მშრომელთა წრის წარმომადგენლებს.

კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს სახალხო მსაჯულთა სიის შედგენა (მუხ. 20), შესდგება სამაზრო აღმასკომის წევრისაგან, საოლქო ბრალმდებლის თანაშემწისაგან და ერთ-ერთ ადგილობრივ სახალხო მოსამართლესაგან. სახალხო მსაჯულთა განაწილება სწარმოებს შემდეგი ანგარიშით: 50 პროც. მუშებისაგან, 35 პროც. გლეხობისაგან და 15 პროცენტი სამხედრო ნაწილებისაგან, ე. ი. სასამართლო ეწყობა პროექტის იდეის მიხედვით, როგორც დამცველი ორგანო მთელის ინტერესებისა მათ მიერ, რომელნიც არიან რევოლიუციის ძირითადი მამოძრავებელი, და სახელდობრ მუშათა კლასის და გლეხობის მიერ.

გარდა ამისა საჭიროა აღინიშნოს, რომ პროექტის თანახმად, სახალხო მოსამართლეთა საბჭო და ტრიბუნალები ერთდებიან ერთ დაწესებულებაში, იქმნება ორი საოლქო სასამართლო, რომელთაც ენიჭებათ უშუალო ზედამხედველობის და კონტროლის უფლება სახალხო სასამართლოებზე თავის დარგში და შეიცავენ საკასაციო განყოფილებას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებისათვის და სასამართლო განყოფილების განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებისათვის, ანგარიშს აბარებს რა უმაღლეს სასამართლოს წინაშე, რომელზედაც იუსტიციის სახ. კომისარიატისაგან გადადის უმაღლეს სასამართლო კონტროლის ფუნქციები. ეს წესრიგი, რომელიც წარმოადგენს სასამართლოს სისტემის მთლიანობის პრინციპის გატარებას თეორეტიული მხრივ, პრაქტიკულათაც იძლევა მუშაკთა და საშუალებათა ეკონომიას და ამყარებს სამოსამართლო პოლიტიკის პრაქტიკული ხელმძღვანელობის მთლიანობას.

პროექტი უარყოფს მოსამართლეთა შეუცვლელობის და მათ გადაწყვეტილებათა ზეკლასიური შინაარსის თეორიას. დიდ განახლებათ ითვლება ისიც, რომ პროექტი ანცალკევებს სახალხო მსაჯულთა და სასამართლოს დარგში მოღვაწეთა გადაყენების ორ ფორმას—გამოძახებას და შეცვლას, პირველი, სადაც არ არის სამარცხვინო ელემენტი და მეორე, სადაც სასჯელის ელემენტი არსებობს. პროექტი ანიჭებს უფლებას მხოლოდ იუსტიციის სახ. კომისარიატს და სამაზრო აღმასკომს ერთმანეთთან შეთანხმებით გადააყენონ მსაჯული. ეს არის საქმით და საჭირო გარანტია სახალხო მოსამართლეთა თვითნებური და ძალიან ხშირი გამოცვლის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა წინანდელ პრაქტიკაში. შეცვლა სწარმოებს სასჯელის სახით, სადაც ეს სამარცხვინო ელემენტი არსებობს და აქაც პროექტი აწესებს მოსამართლეთათვის გარანტიის სახით, ან სასამართლო ან სადისციპლინო წარმოებას; ამ სადისციპლინო წარმოების ფორმების მხრივ კი პროექტი სისწორით განსაზღვრავს ორ საბაბს, რომლითაც შეიძლება სადისციპლინო წარმოების აღძვრა, და სახელდობრ: 1) სასამართლოს მუშაკისათვის სამარცხვინო ყოფა-ქცევა და 2) უმაღლეს სამოსამართლო ინსტანციის მიერ მთელ რიგ სასამართლოს გადაწყვეტილებათა გაუქმება, რომელნიც ეწინააღმდეგებიან საბჭოთა კანონმდებლობის აზრს და პრინციპებს.

რაც შეეხება სასამართლო დაწესებულებათ აბხაზეთს, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში, პროექტი ანიჭებს ამ რესპუბლიკებს უფლებას იქონიონ ფორმალურად დამოუკიდებელი სამოსამართლო დაწესებულებები თვით უმაღლესი სასამართლოც კი, გამოდის რა პროლეტარულ რევოლიუციის მიერ აღიარებულ ძველად დაჩაგრულ ერთა თვით გამორკვევის და თვითმმართველობის პრინციპიდან.

ასეთია ძირითადი პრინციპები, რომელიც საფუძვლად დაედო კანონპროექტს. მისი მიღების შემდეგ შესაძლებელი ხდება საბჭ. სოც. საქართველოში სასამართლოს ერთიანის, ელასტიური და მოქნილი სისტემის შემოღება. საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებლად.

მაგრამ პროექტის მიღებით არ განისაზღვრება ჩვენი სამოსამართლო აპარატების განმტკიცების საკითხი.

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მობილიზაციით უნდა გაიწვიონ სასამართლოს მუშაკთა საუკეთესო ძალები, რომელთა გარეშე შეუძლებელია პროლეტარულ სასამართლოზე დაკისრებულ მნიშვნელოვან, და ფრიად პასუხსაგებ ამოცანათა განხორციელება. საბჭოთა რუსეთში ეს სავსებით გაითვალისწინა და ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ.

ი. ვარძიელი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის მეოთხე სესია

პირველი სხდომა.

8 საათზე ამხ. მიხა ცხაკაია საქართველოს ცენტრ. აღმასკომის მეოთხე სესიას გახსნილად აცხადებს.

ეს სესია არის წარსული მუშაობის ჯამის გამკვეთებელი და იმავე დროის გამთვალისწინებელი და გზების გამკვლევი მომავალი მუშაობისა—ამბობს ამხ. მიხა ცხაკაია. გრძელდება სახელმწიფოებრივი ხასიათის მუშაობა და კავშირის განმტკიცება მოსაზღვრე რესპუბლიკებთან.

გისურვებთ ამხანაგებო ენტუზიაზმით სავსე შეუდგეთ პასუხისმგებელ მუშაობას, გაუმარჯოს საქ. ცენტრ. აღმასკომის მეოთხე სესიას, გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

საერთაშორისო მდგომარეობა.

შემდეგ ამხ. მიხა ეხება საერთაშორისო მდგომარეობას.

ოთხი თვის განმავლობაში, რომელმაც განვლო მესამე სესიის შემდეგ, საერთაშორისო მდგომარეობაში დიდი ცვლილებები მოხდა. პროლეტარიატის წინააღმდეგ შეტევაზე გადმოსულ ბურჟუაზიის შეტევამ უფრო მკაცრი და ფართე ხასიათი მიიღო. ბურჟუაზია ცდილობს კაპიტალიზმს წინანდელი მდგომარეობა დაუბრუნოს, მუშათა კლასის, დამონებულ და დამარცხებულ ქვეყნების და კერძოდ საბჭოთა რესპუბლიკების ხარჯზე. ამ მხრივ აღსანიშნავია კერძოდ რურის ოკუპაცია, განსაკუთრებით კი კერზონის უკანასკნელი დიპლომატიური თავდასხმა საბჭოთა მთავრობაზე. მაგრამ კერზონი წააწყდა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ერთსულოვან წინააღმდეგობას. მის წინააღმდეგ ამხედრდა აგრეთვე ინგლისის ფართე მასსა. კერზონი იძულებული გახდა უკან დაეხია.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა და დარაზმვა თანდათან იზრდება.

ბურჟუაზია იმედ დაკარგულია; მას ესმის, რომ ჩვეულებრივი პარლამენტარული გზით ვერ შეძლებს თავის გადარჩენას; ვერც მისი აგენტი მუშათა კლასში—ყვითელი ინტერნაციონალი იხსნის მას. ამიტომ იგი მიმართავს ბრძოლის ფაშისტურ მეთოდებს, თეთრ სამხედრო დიქტატურას. მაგრამ არ სძინავს რევოლიუციონურ მუშათა კლასს კომინტერნის მეთაურთ, ის კრავს ერთიან ფრონტს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. არ სძინავს არც საბჭოთა ხელისუფლებას, ის გონივრილად ახდენს ძალთა გადაჯგუფებას, ჩაბმულია დიდ აღმშენებლობითი მუშაობაში და ამზადებს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებას.

აღმასკომის პრეზიდიუმის მუშაობა.

ოთხი თვის განმავლობაში აღმასკომს ქონებია სულ 16 სხდომა, რომელზედაც გარჩეულა 145 საკითხამდე. მუშაობდენ მუდმივი და დროებითი კომისიები.

აღმასკომმა მიიღო შეფობა, მზრუნველობა მთელ რიგ დაწესებულებებზე, რომლებსაც საკმაო დახმარებას უწევდა.

აღმასკომმა დააჯილდოვა შრომის ორდენით ჩათახის ქარხნის წითელი დირექტორი ბ. კალანდაძე და წითელი დროშის ორდენით საქართველოს საგანგებო კომისიის თავდადებული მუშაკნი: კვანტალიანი, ზერია და მორიხოვი.

აღმასკომს სხვა წვრიმალ სამუშაოს შესრულებაც უხდებოდა, როგორც მაგ. დახმარების მიცემა ღარიბ მაზრებისათვის და აგრეთვე კერძო პირებზე; განხილვა სასჯელის შემცირების შესახებ და სხვა.

მუნიციპალიზაცია მოხდა 349 სახლის. დემუნიციპალიზაცია 120 სახლის.

კანონმდებლობითი მუშაობა.

რაც შეეხება კანონმდებლობითი მუშაობას, გამოცემულია მრავალი დეკრეტი, ზოგიერთი მათგანი დიდი მნიშვნელობისაა.

ეს დეკრეტები შემდეგია: კურორტების შესახებ, მიწის კანონი, მაზრის სარაიონო საგადასახადო საკრებულოს შესახებ, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის აღდგენა ქალაქებში მიწად მოწყობის დეკრეტი, 1901 წ. დაბადებულთა ჯარში გაწვევა, პროკურატურის დებულება და მრავალი სხვა.

დღის წესრიგი.

ცხადდება დღის წესრიგი პრეზიდიუმის მიერ გამომუშავებული.

1. დებულება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლოს წყობილებისა.
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
3. სამოქალაქო კოდექსი.
4. საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა.
5. აგრონომიული დახმარების ორგანიზაცია.
6. ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის შემოღების შესახებ.
7. თიანეთის მაზრის შემოერთება დუშეთის და თელავის მაზრებზე.
8. საკავშირო ხელშეკრულების შესახებ.
9. საქართველოს შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის მუშაობის შესახებ.
10. მიმდინარე საკითხები.

ამხ. შაბანოვის წინადადებით, წესრიგში შეტანილ იქნა საკითხი მელიორაციის შესახებ, ხოლო **ამხ. დ. ლორთქიფანიძის** წინადადებით ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ.

სასამართლოს წყობილების დებულება

ამხ ვარძიელის მოხსენება.

რეგლამენტის მიღების შემდეგ სესიაზე მოხსენებით ს. ს. ს. რ. სასამართლოს წყობილების შესახებ გამოდის იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. **ვარძიელი**.

ახალი პრობლემები.

—ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ წამოაყენა პრობლემები, შეეხო სასამართლოსაც, რომელიც უნდა შეეგუოს ახალ ცხოვრებას. სისხლის სამართალის კოდექსმა, მოსპო, საზღვარი დაუდო იმ სხვადასხვაობას როდესაც ყველაფერი მინდობილი იყო რევოლიუციონურ სინდისზე.

ეხლა საჭიროა სისხლის სამართლის პროცესუალური მხარეც ჩამოყალიბებულ იქნეს კანონში, როგორც მაგ. გამოძიება და სამართლის პროცესი. წარმოდგენილმა პროექტმა უნდა მოსპოს, კი უნდა მოსპოს სასამართლო დაწესებულებათა პარალელიზმი. არსებობს იუსტიციის კომისარიატისაგან თითქმის სრულებით დამოუკიდებლათ უზენაესი რევტრიბუნალი, რომელსაც ექვემდებარება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალები, არსებობს იუსტიციის სახალხო კომისარიატი რომელსაც ექვემდებარება სახალხო სასამართლო ყველა ინსტანციებით. ასეთი პარალელიზმი, ფუნქციათა არევა დაუშვებელია და მას საზღვარი უნდა დაედვას.

რას გამოხატავს კანონპროექტი.

კანონპროექტი გამოხატავს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს, მის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს, მასში სრულებით დაცულია კლასობრივი პრინციპი. ეს ნათლად სჩანს მის 1, 11, 20 და 34 მუხლებში; კლასობრივი მომენტისთვის ადგილის დათმობა საჭირო იყო, რადგანაც მიუხედავათ ბურჟუაზიულ მეცნიერების მტკიცებისა სასამართლო არასოდეს ზეკლასიური არ ყოფილა. ეს ნათლად სჩანს ვენგრიელ კომუნისტების გასამართლების, ლიბკნეხტის და როზა ლიუქსენბურგის პროცესზე, ამხ. დომბალის პროცესი პოლონეთში.



ს. გ. ბუაჩიძე

(ვერაგულათ მოკლული თერგის ოლქში 1918 წ. 20 ივნისს)

ჭეშმარიტი რევოლიუციონერის ხსოვნას

ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც, თეთრგვარდიელთა ტყვიით გულგანგმირული, დაეცა სახელოვან პოსტზე, თერგის ოლქში, იქაურ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს რევოლიუციონერთა ძველი გვარდიის ერთი თავგანწირულ მებრძოლთაგანი, ამხ. სამუილ გიგოს ძე ბუაჩიძე.

როგორი იქნებოდა ჩვენი პარტია—სწერდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიკოსი,—რომ მას არ ყოლებოდა იგნატე აუერი, მრავალი აუერები, რომლებიც ჩუმათ, უსიტყვოთ, თავგამოდებით, გულწრფელათ, თავიანთი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, ზიდავენ ყოველდღიური მუშაობის მძიმე ტვირთსო.

ცხადია რომ ეს გმირები ჰქმნიან ძლიერებას პარტიისას, ქვა ქვაზე დადებით ამტკიცებენ მის შენობას, აფართოებენ და აღრმავებენ მის გავლენას მასებზე. სამუილს მოუხდა მუშაობა ისტორიული ცხოვრების სულ სხვა მოხვეულზე, რომელმაც გახსნა ერა რევოლიუციონური გადატრიალებების და სამოქალაქო ომების და ამ გარემოებამ დააჩინა სულ სხვა ბეჭედი ამ რევოლიუციონერის ფიზიონომიას, ბეჭედი სრულიად განსხვავებული იმისაგან, რომლის მატარებელი იყო თავდადებულ მუშაკთა პლეიადა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის, ცხოვრების განვითარების ევოლიუციონურ ორგანიულ პერიოდში. მიუხედავათ ჩვენი დროის დუღილისა, მიუხედავათ იმისა, რომ თავისი ორგანიზატორული ნიჭის და წარმოუდგენელი ენერგიის გამო ის ყოველ თვალსაჩინო პოსტზე იყო წინ წაწეული, მას ბუნებას არ ეკარებოდა „თავის გამოჩენის" და „მეობის" გრძნობა. ის იყო ამ მხრივ „სალდათი რევოლიუციის", მაგრამ თავისი მუშაობის მასშტაბითა და მნიშვნელობით ერთი ხელმძღვანელთაგანი რევოლიუციონური მოძრაობის.

პირველი რევოლიუციის წინა წლებიდან დაწყებული ვიდრე იმ დღემდე, როდესაც ის დაეცა თავის პოსტზე, მას არ უნახავს მოსვენება. ნამდვილი ხალხის შვილი, გამოსული მისი ულარიბესი წრიდან, შეწუხებული მისი ტკივილებით და გამსჭვალული მისი მისწრაფებებით ის გადაეშვა, თავისი შეგნებული ცხოვრების პირველი დღიდანვე, რევოლიუციონურ მოძრაობაში. მისი მოღვაწეობის სქემატიური ანუსხვაც კი, რომელსაც მკითხველი ნახავს ქვემოთ, აშკარად ხდის თუ ვინ იყო ამხ. სამუილი, რა დამსახურება მიუძღვის მას ჩვენი პარტიისა და რევოლიუციის წინაშე.

თუ პარტიული ორგანიზაციები შორაპნის მაზრაში სამაგალითოთ საჩვენებელი იყო, თუ 1905 წლის გამოსვლები ამ რაიონში ბრწყინვალე გამარჯვებით გათავდა თავის დროზე, თუ პარტიული და რევოლიუციონური მუშაობა თერგ-დაღესტნის ოლქში არაჩვეულებრივი ინტენსივობით მიდიოდა შავი რეაქციის დროს, თუ შვეიცარიის პარტორგანიზაციებში რამე კეთდებოდა მისი ემიგრანტობის დროს ამ ქვეყანაში, თუ, დაბოლოს, როულ ნასკვს საწინააღმდეგო სოციალ-ეროვნულ ურთიერთობისას როგორმე თავი მოევლო თერგის ოლქში ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებში—ყოველივე ამაში დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის სწორედ სამუილს. და მისი პიროვნების დასახასიათებლად ფრიად საინტერესოა ის გარემოება, რომ მე არ შემხვედრია არც ერთი ამხანაგი და ნაცნობი—ხოლო ასეთი საერთო ამხანაგები და ნაცნობები ჩვენ ბევრი გვყავდა თითქმის ოცი წლის ერთად მუშაობის მანძილზე—რომლებიც ღრმა სევდითა და მწუხარე მოგონებით არ იყვნენ გამსჭვალული ჯერ მისი მოღვაწეობისა და შემდეგ ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

მისი დაკარგვა საშინელი დანაკლისი იყო პარტიისა და რევოლიუციისათვის. მით მოყენებული ჭრილობა ჩვენ მოვიშუშეთ ძლივს-ძლივობით, მის ადგილზე აღსდგენ ათეული და ასეულები შურის ამღებთა და მებრძოლთა. მაგრამ ხსოვნა იმაზე, როგორც ჭეშმარიტ რევოლიუციონერზე, თავგანწირულ მებრძოლზე და შეუცვლელ ამხანაგზე არ ამოიშლება ყველა მისი ამხანაგებისა და მეგობრების მეხსიერებიდან

ნ. კ.

სამუილ (ნოე) გიგოს-ძე ბუაჩიძე

(მისი ვერაგულათ მოკვლის ხუთი წლის თავზე).

1918 წ. 20 ივნისს ქ. კავკაზში ვერაგულათ მოკლულ იქნა თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. სამუილ (ნოე) გიგოსძე ბუაჩიძე. მთელი ტანჯული სიცოცხლე ამხ. სამუილისა თავგანწირული, გაბედული ბრძოლა იყო მშრომელთა სრულ განთავისუფლებისათვის, კომუნიზმის სრულ გამარჯვებისათვის.

ამხ. სამუილი დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში სოფელ ფარცხნალში (შორაპნის მაზრა) 1884 წ.. პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება მიიღო დაბა ხარაგოულის ორკლასიან სასწავლებელში, რომლის საუკეთესოდ გათავების შემდეგ შედის ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში. ჯერ კიდევ სოფლის სკოლაში ემჩნეოდა ამხ. სამუილს რევოლიუციონურ-პროტესტანტული მიმართულება, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობდა მოსწავლეთა საპროტესტო გამოსვლებში იმ დროინდელ სასკოლო ბიუროკრატიულ რეჟიმის წინააღმდეგ, რისთვისაც მას არა ერთხელ ელოდა სკოლიდან სამუდამო გარიცხვა. ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში 1902 წლიდან კი სამუილი იღებს მხურვალე მონაწილეობას მოწაფეთა არალეგალურ წრეებში, რომლებმაც არა ერთი მონაწილე მოამზადეს მომავალ დიდ რევოლიუციონურ სახალხო მოძრაობისთვის. იმავე დროს ის გატაცებით მუშაობს მოსწავლეთა არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალში.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის გათავების შემდეგ ის აბარებს გამოცდას სახალხო მასწავლებლის თანამდებობაზე და გაგზავნილ იქნა პირველად რაჭის ერთ-ერთ სოფელში, საიდანაც მალე გადმოიყვანეს ამავე თანამდებობაზე დაბა ხარაგოულის ორკლასიან სასწავლებელში. ამ დროს საქართველოს ქალაქებში და სოფლებში უკვე გაჩაღებულია მუშაობა რევოლიუციონურ წრეებში, და სამუილიც ფართო მუშაობას აწარმოებს ამ მიმართულებით უმთავრესად სოფლის ღარიბ გლეხობაში. არც ერთი წუთი თავისუფალი დროისა ამხ. სამუილს არ აქვს, დღით ის სკოლაშია, ღამით კი სადმე ტყეში გლეხების კრებაზე. მანვე მოაწყო დაბა ხარაგოულში ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც ლეგალურ წიგნებს და გაზეთებს გარდა ინახებოდა რევოლიუციონური ლიტერატურა, რომელსაც სამუილი სიხარულით აწვდიდა მსურველებს.

1905 წ. რევოლიუციონური მოძრაობა თანდათან ფართოვდება, ქალაქის მუშებს გამოეხმაურა სოფლის ღარიბი გლეხობაც, რომელიც აქტიურ ბრძოლას იწყებს მეფის თვითმპყრობელობისა და მემამულე თავადაზნაურობის წინააღმდეგ. სამუილის სიხარულს საზღვარი არ აქვს, ის სოფლიდან სოფელში გადადის, ეწევა აგიტაცია-პროპაგანდას, ქმნის წრეებს, შეიარაღებულ რაზმებს და სხვა. მოწინააღმდეგეები, ძველი წოდების და წესების წარმომადგენლები, ცდილობენ მის დაღუპვას, მაგრამ ის ყოველთვის მოხერხებულად იშორებს თავიდან განსაცდელს. ცოტა ხნით ის იძულებულია გადავიდეს ბორჩალოს მაზრაში, სადაც ილაშქრებს მეფის მთავრობის აგენტების მიერ მოწყობილ სომეხ-თათართა ხოცვა ჟლეტის წინააღმდეგ. მალე ის კვლავ შორაპნის მაზრაში ბრუნდება და სხვა რევოლიუციონურ მუშაობასთან ერთად მხურვალე მონაწილეობას იღებს გლეხთა წითელი რაზმების მოწყობაში. მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით განიარაღებულ იქნა ბორჯომის მამულის მცველები, სოფლის მემამულეები და კონტრ-რევოლიუციონერები. მალე ქუთაისის გუბერნიაში იწყება ეგრეთ წოდებული „რესპუბლიკების" დაარსება, რომელთა ხელში გადადის მთელი ძალა უფლება და მართვა-გამგეობა. სამუილი ამ დროს საგუბერნიო კომიტეტის და სამხედრო შტაბის წევრია. სამხედრო შტაბმა გადასწყვიტა თენგინის პოლკის ჯარისკაცთა განიარაღება. სამუილს სისრულეში მოჰყავს ეს გადაწყვეტილება დაბა ხარაგოულში მდგომ როტის შესახებ და მიდის წიფის ტუნელისაკენ, სადაც აგრეთვე იდგა იმავე პოლკის რაზმი. აქ მას მოუხდება შეტაკება ყაზახთა რაზმთან რომელიც უკუქცეულ იქნა. მათ თან წაიღეს მკვდრები და დაჭრილები. ამ დროს ქუთაისის გუბერნია მოწყვეტილი იყო ცენტრებს ტფილისს და მოსკოვს.

სამწუხაროდ მოდის ცნობა რომ ამ ცენტრებში რევოლიუციონური მოძრაობა დამარცხდა. წინაში მდგარი წითელ-რაზმელები ემორჩილებიან განკარგულებას ქუთაისიდან და სტოვებენ პოზიციებს. სამუილი ემშვიდობება თავის რაზმს დაბა ხარაგოულში, სთხოვს მათ იარაღი შეინახონ ახალ აჯანყებამდე და მიდის ქუთაისისკენ.

დამსჯელი რაზმები, გენერალ ალიხანოვ ავარსკის მეთაურობით ცეცხლის ალში ხვევენ შორაპნის მაზრას. სამუილი იძულებულია გადაიხვეწოს ჩრდილოეთ კავკასიაში ამხ. ნ. კიკნაძესთან ერთად. ის აქაც აჩაღებს რევოლიუციონურ მუშაობას, სხვათა შორის აქ მან რევოლიუციონურათ დაიკავა ერთ ერთი კავკ. ვის სტამბა და დაბეჭდა ერთი დოკუმენტი.

კავკაზიდან ის გადადის როსტოვში და შემდეგ მოსკოვში. ის ატყობს, რომ მისი რევოლიუციონური მუშაობა არ დაიმალება და ცდილობს საზღვარგარეთ გასვლას, მაგრამ სწორეთ ამ დროს აპატიმრებენ. სამუილის პიროვნება გამოურკვეველი დარჩათ რამაც იხსნა ის სიკვდილით დასჯისაგან, მაგრამ მეფის მოსამართლენი გრძნობდენ, რომ საქმე ჰქონდათ საშიშ რევოლიუციონერთან და მოსკოვში ერთი წლით ბუტირკის ციხეში ჯდომის შემდეგ მიუსაჯეს ოთხი წლის კატორღა. კატორღიდან სამუილმა მოახერხა გაქცევა, მაგრამ მალე დაიჭირეს და შემდეგ ვადის გათავებამდე ბორკილი აღარ მოუშორებიათ. კატორღის შემდეგ ვოლოგდიდან მას აგზავნიან დასასახლებლად ირკუტსკის გუბერნიაში. აქედან კი ის ახერხებს გამოქცევას, ოსმალეთში გასვლას. ოსმალეთში მას სხვა და სხვა ქალაქებში უხდება ცხოვრება, სხვათა შორის ერთ დროს ასრულებს რუსული ენის მასწავლებლობას ფრანგების კოლეგიუმში (გიმნაზიაში) ქ. სამსუნში.

აქ სამუილი ოსმალეთშიც განაგრძობს რევოლიუციონურ მუშაობას, რის გამო მალე ის იძულებულია სამსუნიდან თავი შეაფაროს სტამბოლს. სტამბოლში მას წინადადებას აძლევენ იმ დროს დაწყებულ საერთაშორისო ომში მიიღოს მონაწილეობა რუსეთის წინააღმდეგ იარაღით ხელში. სამუილი არ თანხმდება ამაზე, თუმცა ამხ. ლენინის ყალბი წერილიც უჩვენეს და იძულებულია გადაიხვეწოს ბულგარეთში. აქ ის იჭერს სახელმწიფო მამულების გამგის ადგილს და იწყებს თანამშრომლობას გაზეთებში. დრო გამოშვებით რუსეთის გაზეთებშიც გამოდის მისი წერილები; ზოგი მათგანი მოყვანილი იყო გაზეთ თბილისის „თანამედროვე აზრში".

მაგრამ მალე აქედანაც უნდა გაიქცეს ამხ. სამუილი, რომ დაემალოს ბულგარეთის პოლიციას ის იძულებულია მერის ტანისამოსში გამოეწყოს და მხოლოდ ამნაირათ ახერხებს შვეიცარიაში გასვლას.

შვეიცარიაში ის შედის ჟენევის უნივერსიტეტში ეკონომიურ განყოფილებაზე და ენერგიულათ მეცადინეობს. ამავე დროს ის მხურვალე მონაწილეობას ღებულობს შვეიცარიის ბოლშევიკურ წრეებში და სხვ. კულტურულ დაწესებულებებში.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ის ამხ. ლენინთან ერთად მიემგზავრება რუსეთში. პეტროგრადიდან ის მიეშურება დასავლეთის ფრონტზე, და მხოლოდ შემდეგ ბრუნდება სულ ორი სამი დღით თავის სოფელში, ფარცხნალში, მშობლებთან, რომლებიც თორმეტი წლის უნახავი ჰყავდა. სულ ორი სამი დღის შემდეგ ის მიეშურება ქუთაისისკენ, ჭიათურისკენ და შორაპნისკენ, სადაც კითხულობს მოხსენებებს.

მალე ის კავკავისკენ მიდის, სადაც 1906 წლიდან შერჩა არალეგალური ნაცნობობა.

ჩასვლისთანავე მას ირჩევენ საპასუხისმგებლო პოსტებზე, მალე ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეა. თერგის ოლქი ნამდვილი ცეცხლის მფრქვევ ვულკანს წარმოადგენს სადაც გადახლართულია სხვა და სხვა ტომთა და სოციალურ ინტერესთა ქსელები. მხოლოდ სამუილისთანა რკინის ენერგიის კაცს შეეძლო ოლქის მართვაგამგეობის გაძღოლა. მართლაც მას ერთი წუთითაც მოსვენება არ აქვს, ის მუდამ იქ არის, სადაც საფრთხე ელის რევოლიუციას.

ბევრჯერ იდგა ის უკიდურეს განსაცდელის წინაშე, მუდამ უთვალთვალებდენ მას შავბნელი ძალები, კონტრ-რევოლიუციონერები, მაგრამ 1918 წლის 20 ივნისამდე საწადელს ვერ მიაღწიეს. ამ დღეს მათ დაიყოლიეს ყაზახთა რაზმები, რომლებმაც რამდენიმე ზარბაზანის გატაცება მოასწრეს. სამუილმა გასცა განკარგულება მათი დაბრუნების შესახებ, რაც სისრულეში მოყვანილ იქნა. სამუილი თვითონ გაეშურა ამ ადგილისკენ, სადაც ზღვა ხალხი იყო თავმოყრილი. და აქ დაეცა ის მოსყიდული ტერორისტის მიერ გულ-განგმირული. ცხედარი გადმოტანილ იქნა თავის სოფელ ფარცხნალში, სადაც იქნა დასაფლავებული. დასაფლავებაზე პარტიული ამხანაგები ვერ დაესწრნენ პოლიტიკური პირობების გამო, გარდა ამხ. ბ. ლომინაძისა და ამხ ნიკო კიკნაძისა, რომელმაც საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის ცხედართან. იყო ორმოცამდე გვირგვინი ჩრდილოეთ კავკასიის რევოლიუციონურ ორგანიზაციებისაგან.

ი. ხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი კანონ-პროექტი მეტ ყურადღებას უთმობს სამრეწველო პროლეტარიატს, რაც სრულებით ბუნებრივია საბჭოთა ხელისუფლების დროს.

მოსამართლის არჩევა.

მოსამართლეთა ერთი წლით არჩევის უფლება ახალი პროექტით ექნება სამაზრო აღმასკომს, დამტკიცება კი იუსტიციის სახალხო კომისარიატს, ერთი წლის შემდეგ ხდება ხელახალი არჩევნები. მოსამართლეთა გადაყენების უფლება იუსტიციის კომისარიატის თანხმობით ეძლევა მხოლოდ სამაზრო აღმასკომს. არც ერთს სხვა დაწესებულებას ამ საქმეში ჩარევა არ შეუძლია, რაც აუცილებლად საჭიროა, რათა მოსამართლე გრძნობდეს განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებლობას და ხელშეუხებლობას.

მოსამართლეთა თანამდებობიდან გადაყენება ხდება მხოლოდ სასამართლოს წესით, რისთვისაც საოლქო სასამართლოებთან (აღმოსავლეთ და დასავლეთი საქართველო) არსდება დისციპლინარული სასამართლოები.

იუსტიციის კომისარიატის ფუნქციები.

დღემდე იუსტიციის კომისარიატს ჰქონდა სასამართლოს ფუნქციები, უმაღლესი კონტროლის წესით, რომლებიც ამიერიდან გადადის უზენაესი სასამართლოს ხელში. იუსტიციის სახალხო კომისარიატს რჩება ადმინისტრატიული ფუნქციები, რჩება ტრიბუნალები ჯარში, საპროკურორო ნაწილი და სხვა. სახალხო სასამართლოს შრომის სესიები ამ სისტემის გარეშე დროებით ავტონომიურ რესპუბლიკებში. აფხაზეთში და აჭარისტანში სასამართლოს წყობილება იქნება ისეთივე, როგორც საქართველოში და სასამართლოს ყველა ინსტანციები იქვე ადგილობრივ იარსებებენ. დაახლოებით ასევე იქნება სამხრეთ ოსეთში.

მოხსენების განხილვა გადაიდვა მეორე დღისათვის.

19 ივნისის დილის სხდომა.

სხდომის გახსნა იგვიანებს; რადგანაც დეპუტატ ამხანაგებს მეტი დაწესებულებებში მუშაობენ ამიტომ დაგვიანებით თანდათან იკრიბებიან. თავმჯდომარეობს ამხ. მ. ცხაკაია.

კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა.

მომხსენებელი იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. **ვარძიელი** მუხლობრივად კითხულობს კანონპროექტს სასამართლოს წყობილების შესახებ და იძლევა მოკლე განმარტებებს კანონპროექტი დაბეჭდილია იუსტიციის სახალხო კომისარიატის ჟურნალში, რომელიც წევრებს გასაცნობად წინა დღითვე დაურიგდათ. კანონპროექტის წაკითხვის შემდეგ შეკითხვები. ამხ. **კოტე ცინცაძე** თხოულობს განმარტებას თუ რა მდგომარეობაშია საბჭოთა რუსეთში საარბიტრაჟო კომისიების არსებობის საკითხი. მისივე აზრით საჭირო არ არის იუსტიციის კომისრის განსაკუთრებული უფლებით აღჭურვა მოსამართლეთა თანამდებობაზე გაწესების დროს სავალდებულო საზოგადოებრივ პოლიტიკური სტაჟის გვერდის ახვევით, საერთო დებულების დარღვევა. მესამე კითხვა ეხება პროფკავშირთა წევრების უფლებებს, უმთავრესათ საბჭოთა მოსამსახურეებისას სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტში მონაწილეობის შესახებ.

მომხსენებლის პასუხი.

მომხსენებელი **ვარძიელი** უპასუხებს, რომ საარბიტრაჟო კომისიები, რომლებიც ამას წინად ამიერკავკასიაში შემოიღო ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასკომმა რუსეთში არსებობენ. უკანასკნელ დროს მათ არსებობის გარშემო კამათია ატეხილი იურისტ კომუნისტებ შორის, რომელთა უმრავლესობა ზედმეტად სთვლის მათ არსებობას. სახელმწიფო დაწესებულებათა შორის ქონების დავის გასარჩევათ სრულებით საკმარისია საერთო სასამართლო და ამ უნდობლობას ამ უკანასკნელის მიმართ მის კომპეტენციიდან ამ საკითხების გამოყოფა მომხსენებელსაც სრულებით ზედმეტად მიაჩნია. ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა რუსეთში საარბიტრაჟო კომისიები მომავალში მოსპობილ იქნებიან.

პრაქტიკული მოსაზრებანი.

რაც შეეხება იუსტ. კომისრისათვის მოსამართლეთა სტაჟის მოთხოვნილებისთვის გვერდის ავლის, უფლების მინიჭებას. მომხსენებლის აზრით ეს გამოწვეულია პრაქტიკული მოსაზრებით. იმდენი არა გვაქვს, რომ ვიშოვოთ საკმაო კანდიდატებს მოსამართლეთა თანამდებობისთვის, რომლებიც აკმაყოფილებდენ ყველა მოთხოვნილებებს ჩვენი დებულებისას, განსაკუთრებით სტაჟის მხრით ჩვენი სასამართლო ახალია, ნორჩია თავისი მუშური შემადგენლობით და ძნელია სათანადო საზოგადოებრივ პოლიტიკურ სტაჟ გავლილი პირების საკმაო რაოდენობის გამონახვა.

პროფკავშირთა უფლებები.

რაც შეეხება პროფკავშირთა უფლებებს ჩვენ ვფიქრობთ რომ სასამართლოს საქმეებში მონაწილეობის უფლება სახალხო მსაჯულთა სახით მხოლოდ მუშებს და გლეხებს უნდა ჰქონდეს და ამ უფლებას ვერ ვანდობთ, ვერ მივანიჭებთ სხვა ელემენტებს თუ გინდ ისინი პროფკავშირის წევრებიც იყვენ და საბჭოთა მოსამსახურეებიც. შიში, რომ შეიძლება მუშა-გლეხთა წრიდან ვერ ვიშოვოთ მსაჯულები მათი უცოდინარობის, გაუნათლებლობის გამო, უსაფუძვლოა. განათლება სავალდებულო, აუცილებელი საჭირო არ არის სახალხო მსაჯულისთვის.

არსებითი განხილვა.

შეკითხვების შემდეგ იწყება კანონ-პროექტის არსებითი განხილვა.

ამხ. **კარტოზია** სთვლის კანონპროექტის უმთავრეს ნაკლათ იმას რომ მას თან არ ახლდა განმარტებითი შესავალი, მიყვანილი არ იყო სასამართლოს ორმაგი სისტემის უარყოფის მოტივები.

ამხ. **ნახარიძე** უპასუხებს ამხ. კარტოზიას და ეხება საარბიტრაჟო სასამართლოს საკითხს რომლის დაარსებას ზედმეტად სთვლის.

დადებით საალმშენებლო პერიოდში სასამართლოს დუალისტური ფორმის დატოვება შეუძლებელია. ერთიანი სასამართლო უფრო შეეფერება დღევანდელ პირობებს.

ამხ. **კოტე ცინცაძე** საჭიროთ სთვლის დებულებიდან იმ მუხლის ამოღებას, რომელიც ეხება საარბიტრაჟო სასამართლოს დაარსებას. საარბიტრაჟო სასამართლო მხოლოდ ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევდა და მისი დაარსება საქართველოს პირობებში საჭირო არ არის. იუსტიციის კომისრისთვის მოსამართლეთა სტაჟის შესახებ დებულების დარღვევის უფლების მინიჭებაც არ არის მისაღები, რადგანაც შეიძლება ამ შენიშვნით ფართედ სარგებლობა და ამით სრულებით ირღვევა საერთო წესი.

გ. **ლაფანაშვილის** შეკითხვების შემდეგ ამხანაგი მომხსენებელი აძლევს ყველა კითხვებზე პასუხს.

შემდეგ სხდომა შეუდგა სისხლის საპროცესო კოდექსის მუხლობრივ განხილვას.

საქართველოს პროფკავშირთა მესამე ყრილობა

(მე-4-ე სხდომა. 18 ივნისი).

თავმჯდომარეობს ამხ. ჯუჯაძე.

შრომის კომისარიატის მუშაობა

ამხ. იაშვილის მოხსენება.

ცვლილება დაცვის ორგანოების სტრუქტურაში

1921 წლის განმავლობაში შრომის დაცვის ორგანოების სტრუქტურაში ცვლილება მოხდა. საკონფლიქტო შრომის დაცვის სატარიფო საკითხები, რომლებიც ძირითად საკითხებს წარმოადგენენ და ახალ ეკონომიურ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვთ, პროფკავშირების ნაცვლად დაევალა შრომის კომისარიატს, რომელთანაც პროფკავშირთა საბჭოს დახმარებით დაარსდა კოლლეგია სათანადო ორგანოების მოსაწყობად. დაარსდა 7 განყოფილება. მრეწველობის წარმატების თვალსაზრისით საჭირო შეიქნა აპარატების განმარტივება, რამაც შტატების შემოკლება გამოიწვია. დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული სათანადო პროფმუშაკების შერჩევას და პროფმუშაკების პროცენტი 10 პროცენტიდან 35 პროცენტამდე ავიდა. ნაყოფიერი იყო კომისარიატის მუშაობა საკანონმდებლო სფეროშიაც. 22 წლის განმავლობაში გამოცემულია 231 კანონი, ცირკულიარი და ინსტრუქცია. ყურადღება ექცეოდა პროვინციების ინსტრუქციებით ხელმძღვანელობის გაწევას. ამ მიზნით ხშირად იგზავნებოდენ ამხანაგები მდგომარეობის ადგილობრივ გასაცნობად და პროვინციიდანაც რამოდენიმეჯერ იწვევდენ კომისარ. მიერ ხელმძღვანელები.

შრომის დაცვის განყოფილება.

შრომის დაცვის განყოფილება შესდგება სამი ქვეგანყოფილებიდან, (საზოგადო, უფლებრივი და სატეხნიკო სასანიტარო განყოფილება). შრომის ინსპექტორები ირჩეოდენ პროფორგანიზაციებიდან. დებულების მიხედვით შრომის ინსპექტორებს მოუწვევიათ 11 ადგილობრივი სხდომა. ყველა ქვეგანყოფილებებს რესპუბლიკის მასშტაბით მოუხდენიათ 2,881 რევიზია. აქედან 68 პროცენტი შეეხება სამრეწველო წარმოებათა და 30 პროცენტი წვრილ სავაჭრო წარმოებას. შრომის კანონების დარღვევის შემთხვევა უდრის რესპუბლიკის ფარგლებში 711. ამაზე მეტია ჰიგიენის და სანიტარიის სფეროში კანონების დარღვევათა რაოდენობა. კანონების დარღვევისათვის პასუხისგებაში ყოფილან მიცემული 21 სახელმწიფო და 602 კერძო წარმოება. დიდი თავსამტვრევი საკითხი იყო კომისარიატისათვის ახალგაზრდობის წარმოებაში გაწესრიგების საკითხიც.

საკონფლიქტო განყოფილება.

არა ნაკლები მუშაობა მოუხდა საკონფლიქტო განყოფილებას, სადაც იყვენ წარმომადგენელნი კოლლეგიიდან პროფსაბჭოდან და იუსტ. სახ. კომისარიატიდან. შეძლებისდაგვარად საკონფლიქტო განყოფ. სამართლიანად სწყვეტდა მუშათა ინტერესების თვალსაზრისით სადაო საკითხებს: წლის განმავლობაში საკონფლიქტო კომისიაში შემოვიდა 2168 საქმე. აქედან ტფილისზე მოდის 799, ხოლო პროვინციებზე 1389. უმთავრესად საქმეები შეეხებოდა ხელფასის თავის დროზე გადაუხდელობას. საქმეთა საერთო რიცხვიდან მუშების სასარგებლოდ გადაწყდა 589, ხოლო მწარმოებელთა 41. კოლექტიური ხელშეკრულება დადებულია 257 საწარმოო დაწესებულების მიერ 29,390 მუშის მიმართ, რაც წარმოადგენს მუშათა რაოდენობის 49 პროცენტს.

დღის-დღეობით კოლეგიისაგან, სამეურნეო-ეკონომიური წონასწორობის თვალსაზრისით, საუმჯობესოთ არის ცნობილი კონფლიქტების გარჩევა, ნაცვლად შრომის სახ. კომის. გადაეცეს იუსტ. სახ. კომისარიატს. სატარიფო მუშაობის სფეროში შრ. სახ. კომ. ამოცანას წარმოადგენდა ხელფასის მინიმუმის დაწესება.

შრომის ბირჟა.

ყველაზე საჭირბოროტო საკითხი იყო უმუშევრობა. მრეწველობის ახალ გზაზე დაყენებამ გამოიწვია შტატების ძალზე შემოკლება, რასაც მოჰყვა უმუშევრობის ზრდა. საჭირო იყო უმუშევრობის საწინააღმდეგო ზომების გამომუშავება. 1922 წელში სულ იყო რესპუბლიკაში 34.664. უმუშევართა მოწოდება, მოთხოვნა კი უდრიდა 17,192. ქალთა უმუშევრობა უდრის 34 პროც. მთელ უმუშევართა პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა მოსამსახურეებს (23,3 პროც.). მეორე ადგილი გემოკვების კავშირის წევრთ (12 პროც.) უმუშევრობის შენელების მიზნით კომისარიატმა მოახდინა შრომის ბირჟის რეფორმა, რომლის მიხედვით ბირჟაში შევიდენ პროფკავ. წარმომადგენელნი და იგი დაიყო 10 სექციათ. კავშირები იღებდენ ცხოველ მონაწილეობას მუშათა მოწოდებით გამოთხოვნის მოწესრიგებაში. უმუშევრობის შესანელებლად მოეწყო აგრეთვე მუშათა არტელები, სადაც 320 უმუშევარს აქვს ადგილი. კომისარიატი აძლევდა აგრეთვე მოწმობებს უმუშევართ კომუნალური შეღავათებით სარგებლობის შესახებ. ყურადღება უნდა მიექცეს არტელის დაარსებას, მაგრამ საჭიროა დიდი დაკვირვება, რომ არ მივსცეთ სტიმული შინა-წარმოების **кустарничество** გავრცელებას შრ. კომ. მოუხდა ბრძოლა ც|კ. სახელმწიფო დაწესებულებებთან, რომელნიც უნდობლად ეკიდებოდენ შრომის ბირჟიდან გაგზავნილებს. და უმეტეს შემთხვევაში მუშა მოსამსახურეთ ბირჟის გარეშე ღებულობდენ.

სოციალური დაზღვევა.

საბჭოთა საქართველო სოციალურ დაზღვევის სფეროში თავიდანვე სწორ გზას დაადგა. სოც. დამზღვევი ორგანოები აგებულნი არიან კლასიურ პრინციპზე. გასულ წელს წარმოებულ კამპანიის წყალობით რესპუბლიკაში დაარსდა 24 დამზღვევი კასა, რომელსაც აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავს 56.827 წევრი (კავშირების წევრთა 81,3 პროც.) კასის შემოსავალი მთელი წლის განმავლობაში უდრიდა 76 მილიარდ მანეთს.

დიდი ყურადღება ექცეოდა დამზღვევი კასის სამკურნალო დახმარების განყოფილებას. ასეთი ნაყოფიერი მოქმედება კომისარიატისა მიეწერება კომისარიატისა და პროფ. კავშირების მიერ წამოყენებულ ამხანაგების თავდადებულ მუშაობას. დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქმის შემდეგი წარმატება დამოკიდებულია მასზე, თუ როგორი გულისყურით მოეკიდება ყრილობა პასუხისმგებელ მუშაკთა არჩევას.

კამათი.

მოხსენების შემდეგ იხსნება კამათი. ამხ. **ლაბზანიძე** ამბობს, რომ კოლლექტიურ ხელშეკრულება ყველგან სრულდება. საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე მუშათა დაქირავების დროს შრომის ბირჟის მიერ კონტროლის გაძლიერება. ამხ. **ბეკელოვიჩი** აცხადებს, რომ უმუშევრობის ზრდა დამოკიდებულია შტატის შემცირებაზე, რომლის დაყენება სწორედ და სამართლიანად ვერ ჩაითვლება.

ამხ. ატოევს უმუშევრობის მოსპობ ერთ-ერთ წყაროდ მიაჩნია საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაცია.

ამხ. **ხუხუნაშვილს** არ მიაჩნია მიზანშეწონილად ადგილობრივ შრომის ბირჟათა გაუქმება. შრომის დაცვის საკითხების და აგრეთვე უმუშევრობის ირგვლივ იმართება გაცხოველებული კამათი, რომელშიდაც მონაწილეობენ ამხ. ამხ. **ელბაქიანი, ხლობ-დსკოი, ბახტიაროვი,** ოჩიგავა. დასასრულ საბოლოო საპასუხო სიტყვას ამბობს მომხსენებელი **იაშვილი.**

მორიგ საინფორმაციო მოხსენებას აკეთებს ამხ. გინსბურგი პროფესიონალურ მუშაობის შესახებ ამ. კავკ. მასშტაბში გინსბურგის მოხსენების შემდეგ სხდომა 2 ნახევარ ს. იხურება.

18 ივნისი, საღამოს სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. ატოევი.

საორგანიზაციო საკითხი

მოხსენებას აკეთებს საორგანიზაციო საკითხზე ამხ. **ბახუტოვი.**

საერთო მიმოხილვა

გასულ წლებში კავშირები აწარმოებდენ საორგანიზაციო მუშაობას, რომლის მეოხებით კავშირები თავის ძლიერებით გაუთანასწორდენ რუსეთის პროფ. მოძრაობას. ამიერიდან საჭიროა საორგანიზაციო მუშაობის უფრო ჩამოყალიბება და გამაგრება. ყურადღების საგნად უნდა გახდეს სამი ძირითადი მომენტი 1. მდგომარეობის გათვალისწინება. 2. მუშაობის შესწავლა. 3 კავშირის ცხოვრების მიერ წამოყენებული საკითხების დამუშავება. მუშაობის გაღრმავება უნდა სწარმოებდეს ამ სამი მომენტის ირგვლივ. მუშაობის შედეგები უნდა გავაცნოთ მუშათა მასებს და ჩვენ ანგარიშები უნდა წარუდგინოთ ჩვენი კავშირის წევრებს, რომელთაც უნდა იცოდენ როდის უნდა ვაბარებდეთ ჩვენ მათ ანგარიშებს. ამ უკანასკნელთ უნდა ექნეს რეგულიარული ხასიათი. რომლის მეოხებით წევრებს ეცოდინებათ საქმის ნამდვილი ვითარება. ანგარიშის წარდგენა მასებისათვის უნდა დაევალოს, როგორც პროფ. საბჭოებს, პროფ. გამგეობის ბიუროებს და რწმუნებულებს, ისე ცალკე კავშირთა გამგეობას ესევე უნდა მოექცენ ფაბ.—ზავკომები. ანგარიშებში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს საფინანსო მხარეს, რომლის განმტკიცება მუშაობის ნორმალურად საწარმოებლად, აუცილებელია ინდივიდუალურ წევრობაზე გადასვლამ პროფ.-კავშირების თანხა გააძლიერა. საჭიროა შემოსავლის სწორი ანგარიშის წარმოება არა მარტო გადახდევინების სისტემის მოწყობა. ამ მიზნით გამგეობამ უნდა გამოჰყოს სპეციალურად ამხანაგი, რომელიც მასების ნდობით აღჭურვილი, იკისრებს კავშირის მოლარის მოვალეობას გასავალი უნდა შეეთანხმდეს შემოსავალს. შტატები კავშირისა უნდა აიგოს ისე, რომ ყოველ 500 წევრზე მოდიოდეს 1 მოსამსახურე გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ პროვინციის მიმართ დაუშვათ, სადაც წევრთა რიცხვი 300 აღემატება. საწევრო გადასახადი 5 პროც. ან უნდა 4 პროც. დავუყენოთ ყოველგვარ პროცენტულ გადარიცხვაზე (**отчисления**) უარი უნდა განვაცხადოთ. და მათ შორის სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის კომიტეტის სასარგებლოდაც. ფაბზავკომები უნდა შეინახონ ადგილობრივმა. წევრებმა, რომელთა შეტანილი გადასახადი ადგილობრივ უნდა იხმარებოდეს ცენტ. გამგეობისადმი წარუდგენლად.

ფონდების შესახებ.

საფინანსო საკითხთან დაკავშირებულია ცალკე ფონდთა არსებობა, (გაფიცვის ფონდი, კულტურული და სხვა.) წინააღმდეგ ზოგი ამხანაგის განცხადებისა, აუცილებლად საჭიროა გაფიცვის ფონდის არსებობა და გაძლიერება თუნდა ჩვენი ქვეყნის იქით მყოფ გაფიცულთა დასახმარებლად: რამდენადაც უმუშევრობა ძლიერდება იმდენად უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ნივთიერ გაძლიერებას უმუშევართა ფონდისას, რომელმაც უხვად უნდა გაილოს დახმარება და მოერიდოს სიძუნწეს ამავე დროს საჭიროა დასახმარებლად აღრიცხულ უმუშევართა სიის გასინჯვა. ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთ დამხმარე კასის მოქმედების გაფართოვებას კასამ დახმარება უნდა გაუწიოს არა სოციალური მდგომარეობის, არამედ გაჭირვებისა და საჭიროების მიხედვით. ადგილის გამოცვლის დროს, წევრს არ უნდა ეკარგებოდეს წევრობის უფლება.

გამგეობათა მუშაობისათვის.

პროფკავშირების სეკრეტარიატის ნაცვლად ხელმძღვანელობა ისევ უნდა დაეკისროს გამგეობას, რომელნიც თვეში ერთხელ მაინც უნდა იკრიბებოდენ. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პროვინციათან კავშირის დამყარებას და განმტკიცებას, როგორც წერილობით, ისე მისვლა-მოსვლით, პროვინციის შემოვლა-დათვალიერებით იქიდან მდგომარეობის გასაცნობათ ამხანაგთა გამოწვევით, რომელიც 3 თვეში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს, აუცილებელია აგრეთვე კავშირის საურთიერთო ორგანოებს შორის ნორმალურ კავშირის მოგვარება სამაზრო პროფბიუროს რწმუნებულნი ადგილობრივ მდგომარეობას შესახებ ანგარიშს უნდა ურდგენდენ არა მარტო პროფსაბჭოს პრეზიდიუმს, არამედ საქარ. პრ.-კავ. საბჭოს პლენუმს უმჯობესია საქმისათვის კავშირთა გამგეობის წევრები მივაწეროთ ფაბ-ზავკომებს. თუ გვსურს ისინი ერკვეოდენ წევრთა მოთხოვნილებებში, რომელთა მუშაობა უნდა სწარმოებდეს წარმოებებსა და ფაბრიკებში, ამ მიზნით უნდა გავაძლიეროთ ფაბკომები, სადაც საზოგადო კრების მოწვევა მოუხერხებელი ხდება, იქ უნდა აღდგენილ იქნას დელეგატთა ინსტიტუტი

პროფ-საბჭოს სტრუქტურისათვის.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში უნდა შევიდენ ის მუშაკნი, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ პროფკავშირებთან. ე. ი. პროფორგანოებში მომუშავენი. პრეზიდიუმი უნდა განისაზღვროს 15 წევრით და 7 კანდიდატით. დიდათ უნდა ჩაითვალოს რწმუნებულთა რაოდენობა, რაც არ შეეფერება პროფ. ცხოვრების მოთხოვნილებათ. საჭიროა მათი მინიმუმამდე დაყვანა და ფუნქციების მდივნებზე და თავმჯდომარეებზე გადაცემა. უნდა გავაძლიეროთ წერილობითი, ფინანსიური და სხვაგვარი ურთიერთობა. სხვა პროფესიონალურ გაერთიანებასთან, (რკინისგზელებთან, ფოსტელებთან), არა გვაქვს არავითარი კავშირი წყალში მომუშავეებთან, რომელნიც ჩვენგან სრულიად მოწყვეტილნი არიან, უნდა შეიქმნეს ორგანო, რომელიც პროფსაბჭოსა და მეწყლეთა (**ВОДНЯКИ**) შორის შემაერთებელი რგოლი იქნება.

სხვადასხვა ხასიათის მუშაობისათვის.

არ კმარა მდაბალ ორგანოების მიერ უმაღლეს ორგანოებისადმი ანგარიშის ჩაბარება, საჭიროა შემოვიღოთ პროფორგანიზაციათა, ხშირი დათვალიერება, რომელსაც უნდა ექნეს ორგანოების მოქმედებათა ცალკე მომენტების გასინჯვისა და შემოწმების ხასიათი. ადგილობრივ პროფკავშირთა ნაკლოვანობის შესავსებად უნდა მოეწყოს მოკლე ვადიანი პროფკურსები და აგრეთვე საბჭოთა პარტიულ სკოლებთან გახსნას და მოეწყოს პროფესიონალური ლექციები. ცუდათ გვაქვს დაყენებული მუშაობა ქალთა და ახალგაზრდათა შორის. უნდა გაძლიერდეს მუშაობა ამ სფეროში ისე, რომ ამისთვის ცალკე შტატი არ შეიქმნეს. ახალგაზრდები უნდა შევიყვანოთ ფაბკომებში, ცენტრ. გამგეობაში, ყოველგვარ კომისიებში, მთელი ეს მუშაობა საკავშირო მასშტაბით უნდა სწარმოებდეს. აი ის უმთავრესი საკითხები, რომლისკენაც უნდა იქნეს მიმართული ჩვენი მუშაობა.

კამათი.

მოხსენების შემდეგ განსაკუთრებით კამათის საგნად ხდება ახალგაზრდობის პროფმოძრაობაში მონაწილეობის საწევრო გადასახადის რაოდენობის კავშირის შტატის, პროვინციასთან ურთიერთობის შესახებ, და სხვა საკითხები, რომელშიდაც მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ამხ. ამხ. **აკოპოვი, ლაგაზიძე, ზელენკი ბეკალოვიჩი, იზმაილი, კუნჭულია, ბახტიაროვი, ყურულაშვილი, გოგიბერიძე, ჯულელი** და სხვები.

მომხსენებლის მიერ მოკამათეებისთვის პასუხის გაცემის შემდეგ ამხ. ყურულაშვილი წინადადებას იძლევა საორგანიზაციო საკითხის თეზისების გადასათვალიერებლად და შესასწორებლად არჩეულ იქნას კომისია შემდეგ შემადგენლობით: **ბახუტოვი, მხიტაროვი. მელიქოვი, ბახტიაროვი, გოგიბერიძე, ხულავა და ყურულაშვილი.** ყრილობა ღებულობს სიას და თავის მხრივ უმატებს რკინის გზელთა წარმომადგენელს ამხ. **რუხეცკის,** წყალში მომუშავეთა წარმომადგენელს **ხვრინქველს** და ახ. კომ. კავშ. წარმომადგენელს **ზელენკას.**

სხდომა იხურება საღამოს 8 საათზე.

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს არსებობის ერთი წლის თავზე

მილოცვები:

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს ერთი წლის იუბილეს.

პირველად ამიერ-კავკასიაში დაარსდა საოლქო ორგანო, რომელშიაც საერთო-პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების გაშუქება ხდებოდა ისე დაწვრილებით და სისრულით, როგორიც ახასიათებს დიდ სატახტო ქალაქის გაზეთებს. „ზარია ვოსტოკა“, რომელშიაც უმთავრესად გამოსჭვიოდა საოლქო პოლიტიკა, მაინც საკმაო ყურადღებას აქცევდა ადგილობრივ საკითხებს და ამიტომ ის არ იქცა აკადემიურ ორგანოდ, არ დაშორდა მასებს და შესძლო საერთო საოლქო და ადგილობრივი საკითხების ერთ-მეორესათვის დაკავშირება, მათი ფართოდ გაშუქება და გახდა უსაჭიროესი გაზეთი შეგნებულ მუშებისათვის.

ამ გაზეთში მუშა პოულობდა პასუხს ყველა საჭირბოროტო საკითხებზე.

უკეთებს რა ჯამს „ზარია ვოსტოკას“ ერთი წლის მუშაობას, ტფილისის კომიტეტი ერთხელ კიდევ მიესალმება ძვირფას იუბილიარს და იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალშიაც გაზეთი განაგრძობს იმ გზაზე სვლას, რომელზედაც ის შედგა თავის არსებობის პირველ დღეებში და რომ შემდეგი მონაპოვარი იდეოლოგიურ ფრონტზე მისცემს მას მტკიცე ბაზას, რომელზედაც მისი გავლენა გაფართოვდება, გაიზრდება და განმტკიცდება.

გაუმარჯოს პროლეტარულ ორგანოს, „ზარია ვოსტოკა“-ს, რომელიც აერთიანებს ამიერ-კავკასიის ერებს.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი.

„ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციასა და თანამშრომლებს

ძვირფასო ამხანაგებო!

„კომუნისტი“-ს რედაქცია გესალმებათ თქვენ თქვენი გაზეთის არსებობის წლის თავზე და დარწმუნებულია, რომ, როგორც წარსულში, მომავალშიაც გაამართლებს ის თავის დანიშნულებას, იქნეს მატარებელი აღმოსავლეთის დაჩაგრულ მასსების განთავისუფლების იდეისა კომუნიზმის დროშის ქვეშ.

„კომუნისტი“-ს რედაქცია.

რადიო-ტელეგრამები

გადატრიალება ბულგარეთში

ბულგარეთის კომპარტიის განცხადება.

ვენა. 17 ივნისი. ბულგარეთის კომპარტიამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ სტამბულინსკის მთავრობა, რომელსაც დამსახურება მიუძღვის მსხვილ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში, თანდათანობით მსხვილ მემამულეების ხელისუფლებათ ჩამოყალიბდა და თავიდან ჩამოიშორა მუშათა მასები და ამით თვითონ შეუწყო ხელი თავის დაცემას. ახალი მთავრობა, ნათქვამია დეკლარაციაში, არაჩვეულებრივ საშიშროებით ემუქრება პროლეტარიატს. მოწოდება მოითხოვს საალყო წესების მოხსნას და ულარიბეს გლეხებიდან გამოსულ მუშების მომზადებას მუშათა და გლეხთა მთავრობისათვის საბრძოლველად.

ვენა. 17 ივნისი. სოფიიდან მიღებული ცნობებით, გლეხთა მოძრაობა ბულგარეთში მცირდება, ახალი მთავრობის მიერ ტერორის გაჩაღების და აგრეთვე გლეხების შეუკავშირებლობის გამო.

პარიზი. 17 ივნისი. სოფიაში დიპლომატიური კორპუსის მიღების დროს, ბულგარეთის ახალმა გარეშე საქმეთა მინისტრმა კალკოვმა ხაზი გაუსვა გადატრიალების ნაციონალურ შინაურ-პოლიტიკურ ხასიათს.

სად არის სიმართლე?

პარიზი. 17 ივნისი სამხრეთ—სლავის გაზეთის „ვრემია“ს ცნობით, ბოლგარეთის ახალმა მთავრობამ ჩახშო სტამბულინსკის მომხრეების ცდა ახალი მთავრობის ჩამოსაგდებად. მაგრამ ბუქარესტში, პირიქით, ამტკიცებენ, რომ გლეხების მღელვარება ბოლგარეთში გრძელდება.

რურის ოლქის ოკუპაცია

ფრანგების რეპრესიები.

ბერლინი. 17 ივნისი. რურის ოლქში ფრანგები აძლიერებენ რეპრესიებს, რის გამოისობითაც მცხოვრებლები უფრო აგრესიული ხდებიან შემვიწროებელთა მიმართ.

გენერალმა დეგუტმა განკარგულება გასცა ნახშირის ფირმებისა-

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ *)

სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა.

ამიერ-კავკასია საერთოდ და მთლიანად მომხმარებელი მხარეა.

ომამდე გარედან შემოჰქონდათ: საქართველოში—4 მდე მილიონი ფუთი პური, სომხეთში 2 ნახ. მილიონი, ხოლო აზერბეიჯანში—10 მდე მილიონი ფუთი პური. სასოფლო მეურნეობის განვითარება მიდიოდა მარცვლეულის მეურნეობის განვითარების გზით კი არა, არამედ ძვირფას კულტურათა გაშენებით: მებამბეობა, მეთამბაქოება, მევენახეობა, მესაქონლეობა და სხვა... ამიერ-კავკასიაში ასეთ კულტურათა არსებობა ხელს უწყობდა ფულის ტრიალის გამოცოცხლებას, ჩრდილოეთიდან პურის შემოტანას და რუსეთთან ეკონომიურ კავშირის დამყარებას.

საკუთარ პურით საქართველოს არასოდეს არ გაუტანია თავი. ამ რიგად საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ამ მხარეში პური არ არის. მაგრამ სამწუხაროდ დიდად დაზარალდნენ ძვირფასი კულტურები.

1910—1914 წლებში მებამბეობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. 1914 წ. 149,000 მდე დესეტინამ მისცა 2 მილიონზე მეტი ფუთი მოსავალი. 1922 წელს აზერბეიჯანში ჩამოვიდა 840 დესეტინამდე, ხოლო სომხეთში—750 დესეტინამდე. ეს მეტად დიდი შემცირებაა.

1914 წელს 16,000 დესეტინამ 858,000 ფუთი თამბაქო მისცა.

მარტო აფხაზეთზე მოდიოდა 13,000-მდე დესეტინა, რომელიც იძლეოდა 603.000 ფუთს მოსავალს.

1922 წელს აფხაზეთი ძლივს ავიდა 1,500—2,000 დესეტინამდე, ხოლო ლაგოდეხის რაიონი—210 დესეტინამდე.

ვენახების სივრცე საქართველოში დაახლოებით 10—15 პროცენტით შემცირდა, ხოლო სომხეთსა და აზერბეიჯანში 25 პროცენტით.

მესაქონლეობის მდგომარეობა კატასტროფიულია. ზოგიერთს ადგილში 70-მდე პროცენტით შემცირდა ომის წინა დროსთან შედარებით.

სომხეთში დარჩა საქონლის მხოლოდ ერთი მესამედი.

ამიერ-კავკასიაში ძვირფას კულტურათა დაცემის მიზეზი ძალიან ბევრია. მართალია სამოქალაქო ომს აქ ისეთი შედეგები არა ჰქონია, როგორც რუსეთში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სასოფლო მეურნეობა ჩვენში არა ნაკლებ არის დაქცეული, ვიდრე იქ. ჯერ კიდევ მეფის მთავრობა ჰქმნიდა ჩვენში პირობებს სომეხ-თათართა შეტაკებისთვის, რასაც შედეგად მოჰყვა გლეხთა სრული განადგურება. შემდეგ ეროვნებათა შორის ომებმა და ოსმალეთთან ომმა დაასრულეს სასოფლო მეურნეობის საბოლოო დანგრევის სურათი.

მართალია ბოლო ხანს დათესილ მიწების სივრცე გადიდდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ მისულა ომის წინა დროის ზომამდე.

მივიღეთ რა მხედველობაში ყველა ეს გარემოება და აგრეთვე რესპუბლიკის საჭიროება, იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჭიროა გადამხდელთ მიეცეს მთელი რიგი შეღავათებისა ძვირფას კულტურათა გასაფართოებლად და განსავითარებლად.

ამის მიხედვით დაწესებულ იქმნა კიდეც გადასახადის განაკვეთები.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთები

მეურნეობანი დესეტინათა რაოდენობით	რაიონებში დესეტინაზე საშუალო მოსავლით (ფუთობით)										
	25-მდე	25-ზე ზემოდ 30-მდე	30 ზე ზემოდ 35-მდე	35-ზე ზემოდ 40-მდე	40 ზე ზემოდ 45-მდე	45-ზე ზემოდ 50-მდე	50-ზე ზემოდ 60-მდე	60-ზე ზემოდ 70-მდე	70-ზე ზემოდ 80-მდე	80-ზე ზემოდ 100-მდე	100-ზე ზემოდ
½-დან 1 დესეტინამდე	—	—	—	—	—	20 გირ.	30 გირ.	1 ფუთი	1ფ. 10 გ	1ფ. 30 გ	2ფ. 30 გ
1 დეს. მეტი 2-მდე	20 გ.	30 გ.	1 ფ.	1ფ. 20 გ	2 ფ.	2ფ. 20 გ.	3ფ. 20 გ	4ფ. 20 გ.	5ფ. 20 გ.	7 ფუთი	8ფ 20 გ
	(2 პრო.)	(2,7 პრ.)	(3 პრო.)	(4 პრო)	(4,7 პრ.)	(5,2 პრ)	(6,3 პრ)	(6,9 პრ)	(7,3 პრ.)	(7,7 პრ)	(8,5 პრ.
2 დეს. „ 3 მდე	30 გ.	1 ფ.	1 ფ. 20 გ	2 ფ	2ფ. 20 გ.	3ფ. 20 გ	5 ფ.	6ფ. 20 გ.	8 ფ.	10 ფ.	12 ფ.
	(3 პრო.)	(3,6 პრ.)	(4,6 პრ.)	(5,3 პრ.)	(5,8 პრ.)	(7,3 პრ.)	(9 პრო.)	(9,2 პრ.)	(10,6 პ)	(11,1 პ)	(12,0 პ)
3 „ „ 4 „	1 ფ	1 ფ 20 გ	2 ფ	2ფ. 20 გ.	3ფ. 20 გ.	4ფ. 20 გ.	6 ფ.	7ფ. 20 გ	9 ფ.	11 ფ.	13 ფ.
	(4 პრო.)	(5,4 პრ.)	(6,1 პრ.)	(6,6 პრ)	(8,2 პრ.)	(9,4 პრ)	(10,9 პ.)	(11,5 პ.)	(12,0 პ.)	(12,2 პ)	(13,0 პ.)
4 „ „ 6 „	1 ფ. 20 გ.	2 ფ.	2 ფ. 20 გ	3ფ. 20 გ.	4ფ. 20 გ	5ფ. 20 გ	7 ფ	8ფ. 20 გ	10 ფ.	12 ფ	14 ფ.
	(6 პრო.)	(7,2 პრ.)	(7,6 პრ)	(9.3 პრ.)	(10,5 პ.)	(11,5 პ.)	(12,7 პ)	(13,0 პ)	(13,3 პ.)	(13,3 პ)	(14,0 პ)
6 დესეტინიდან	2 ფ. 20 გ	3 ფ	3ფ 30 გ.	4ფ. 20 გ.	5ფ. 20 გ	7 ფ.	8ფ. 20 გ	10 ფ	11 ფ. 20 გ.	13 ფ. 20 გ.	16 ფ.
	(10 პრ.)	(10,9 პ.)	(11,5 პ)	(12,0 პ)	(12,0 პ.)	(14,7 პ.)	(15,4 პ.)	(15,3 პ.)	(15,3 პ)	(15 პრ.)	(16,0 პ.)

განაკვეთები საქონელზე.

მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა.	განაკვეთი ხორბ. ერთეულით თვითეულ სულზე.
2-დან 3 მდე სული	5 გირვანქა.
3-ზე მეტი 5-მდე	10 „
5 ზე მეტი 10 მდე	15 „
10-ზე მეტი 20-მდე	20 „
20 ზე მეტი	25 „

მეურნეობათა ცალკე ჯგუფების ინტერესები.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას არ შეუძლიან, რომ ერთნაირათ დაბეგვროს სოფლის მოსახლეობის ყველა წრეები. ძალიან ბევრია წვრილი მეურნეობა, გაბნეული მთელს ამიერ-კავკასიაში, რომელიც არ იძლევა გლეხის მინიმალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო მოსავლის რაოდენობასაც. ლარას ვიტყვით იმ ხარჯებზე, რომელსაც იწვევს საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენა. მოსახლეობის ასეთ წრეების ინტერესებისადმი საბჭოთა ხელისუფლებას მიპყრობილი აქვს თავისი გულისყური.

ამ აზრით ის მეურნეობანი, რომელთაც აქვთ ნახევარ დესეტინამდე სახნავი, მოსავლით არა უმეტეს 45 ფუთისა—დესეტინაზე, განთავისუფლებული არიან გადასახადისაგან.

ამავე დროს დეკრეტი გადასახადისაგან ანთავისუფლებს წითელ არმიისა და ფლოტის მოსამსახურეებს, რომელთაც 2 დესეტინამდე სახნავათ გამოსადეგი მიწა აქვთ. წითელ არმიაში და ფლოტში მყოფ მოსამსახურეთა ოჯახები სრულიად თავისუფალნი არიან გადასახადისაგან, თუ მეურნეობაში არ მოიპოვება შრომის უნარიანი სხვა პირი.

იგივე შეღავათი ეხება სამოქალაქო ომში დასახიჩრებულთ და ტყვეობაში მყოფთ წითელ არმიელებს.

ძვირფას კულტურათა აღვავების და განვითარების მიზნით გადასახადი არ ეხება იმ მიწებს, რომელიც უჭირია ბამბას, სამკურნალო ბალახებს, ზაფრანას და მეაბრეშუმეობის საჭიროებისთვის გაშენებულს თუთის ხეებს.

გადასახადის განაკვეთები გულისხმობს მეურნეობათა ექვს ჯგუფს, სახელდობრ: ნახევარ დესეტინაზე მეტი 1 დესეტინამდე, 1-დან 2-მდე, 2 დან 3-მდე, 3 დან 4-მდე, 4 დან 6-მდე და 6-დან ზემოთ.

ამას გარდა დაწესებულია მოსავლიანობის 2 ხარისხი. პირველ ხარისხს ეკუთვნის მეურნეობა 25 ფუთის მოსავლით, ხოლო უკანასკნელს—100 ფუთზე მეტის მოსავლით დესეტინაზე.

მეურნეობანი რაოდენობით ნახევრიდან 1 დესეტინამდე და 1-დან 2-მდე ჩარიცხული არიან სუსტ მეურნეობათა ჯგუფში და ამიტომ მეტად მცირედაც არიან დაბეგვრილნი. შემდეგში დაბეგვრის რაოდენობა იზრდება სახნავ დესეტინათა რაოდენობის ზრდისა და მოსავლიანობის სიდიდის მიხედვით.

მეურნეობათა ჯგუფი 4-დან 6 დესეტინამდე ეკუთვნის ეკონომიურად ძლიერს ჯგუფს, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის სინამდვილის პირობებში. ამიტომ ასეთი მეურნეობანი დაბეგვრილია უმაღლესი განაკვეთით. მეურნეობათა რიცხვი, რომელსაც 6 დესეტინაზე მეტი აქვს, ჩვენში ძალიან ცოტაა.

დაბეგვრის პროცენტი შეადგენს მთელის შემოსავლის 1 პროცენტიდან—წვრილ მეურნეობათათვის, 16 პროცენტამდე—მსხვილ მეურნეობათათვის.

რაც შეეხება განაკვეთებს საქონელზე, ჩვენ აქაც მხედველობაში ვიღებთ ულარიბეს გლეხთა მდგომარეობის უზრუნველყოფას. მეურნეობა, რომელსაც ერთი სული მსხვილფეხა საქონელი ჰყავს, თავისუფალია დაბეგვრისაგან. განაკვეთები დაწესებულია მეურნეობათა 5 ჯგუფზე საქონლის რიცხვის მიხედვით: 2 დან 3 დე, 3—5, 5—10, 10-ზე მეტი 20-მდე და 20-ზე მეტი. პირველი ჯგუფი სულზე 5 გირვანქას იხდის, ხოლო უკანასკნელი 25 გ.

სახნავზე გადატანის ნორმები.

გადასახადი გამოიანგარიშება სახნავის რაოდენობის მიხედვით და არა ფაქტიურ დათესილ მიწის კვალად მიზეზი ის არის, რომ თუმცა ბევრმა გლეხმა საიჯარო რეფორმის წყალობით მიწა მიიღო დასამუშავებლად, მაგრამ ეს მიწები გაცდენილნი არიან და ამის გამო უფრო შრომის მოყვარულნი და შრომის უნარიანი მოკლებულნი არიან საშუალებას ეს მიწა დაამუშაონ და მით რესპუბლიკის შემოსავალი გაადიდონ. დასამუშავებლად გამოსადეგი მიწა არ უნდა იყოს გაცდენილი—აი ჩვენი ძირითადი ამოცანა. თუ ჩვენ მხოლოდ დათესილ მიწას დავბეგრავთ, მაშინ გლეხს აღარ ექნება მიწის მაქსიმალურ დამუშავების სტიმული, რის მეოხებითაც მეურნეობა დაეცემა და შემოსავალი იკლებს.

და ბოლოს მემამულეებს მიწა წაერთვა და გლეხებს გადაეცა იმიტომ, რომ გადიდებულ იქმნეს სასოფლო მეურნეობის შემოსავალი. დაუთესავად უნდა დარჩეს მხოლოდ ის მიწა, რომელსაც წესიერი დასვენება ეკუთვნის. აი რისთვის გადასწყვიტა საბჭოთა მთავრობამ სახნავის დაბეგვრა, რომელიც გამოხატავს ყველა კულტურის საზომ ერთეულს.

როგორია გადატანის ნორმები?

ერთი დესეტინა სათიბი უდრის მთელს ამიერ-კავკასიაში ნახევარ დესეტინა სახნავს.

მართალია სათიბები ყველგან ერთნაირს მოსავალს არ იძლევიან, მაგრამ ამან არავინ უნდა დააფრთხოს, ვინაიდან ეს გარემოება მხედველობაში იქნება მიღებული მოსავლიანობის ხარისხის გამორკვევის დროს სხვა და სხვა რაიონში.

ერთი დესეტინა ხილის ბაღებიდან თხილის პლანტაციები აზერბეიჯანსა და სომხეთში ორ დესეტინა სახნავს უდრის, ხოლო საქართველოში—ერთ დესეტინა ნახევარს.

ერთი დესეტინა ვენახი უდრის: აზერბეიჯანში განჯისა, შამხორისა, ყაზახისა და შემახის მაზრაში 3 დესეტინა სახნავს, ხოლო დანარჩენს მაზრებში—ორს დესეტინას; საქართველოში—3 დესეტინა სახნავს თელავის და სიღნაღის მაზრაში და ორს—დანარჩენს მაზრებში; სომხეთში—ერთ ნახევარ დესეტინას სახნავს დილიჟანისა და ლორის მაზრაში, ერევნის მაზრის კამარლოს რაიონში, ეჩმიაძინისა და სამაგორის რაიონში და ეჩმიაძინის მაზრის სოფ. ოშაკანში; 2 დესეტინას დარალაგეზისა, ზანგეზურისა და მიღრანის მაზრებში და 3 დესეტინას ერევნისა და ეჩმიაძინის მაზრებში, ზემო ჩამოთვლილ რაიონების გამოკლებით

ვენახების გადატანის ნორმის ასეთი დაწესება გამოწვეულია სხვა და სხვა პირობებით სხვა და სხვა რაიონში. სომხეთის ზოგიერთ რაიონისთვის დაწესებულია შეღავათი იმის გამო, რომ ეს რაიონები ისედაც განადგურებულნი არიან.

ამას გარდა მევენახეობა ამიერ-კავკასიაში დიდად დაზარალდა ზემოხსენებულ მიზეზთა წყალობით.

მეთამბაქოების განვითარების მიზნით ერთს დესეტინა თამბაქოს ვუთანასწორებთ ვადით ორს დესეტინა სახნავს ყველგან გარდა აფხაზეთისა, სადაც საგანგებოდ მისდევენ მეურნეობის ამ დარგს; აქვთ საგანგებო მიწები, რომელიც კარგის ღირსების პროდუქტს იძლევა და სადაც დამოკიდულება დაწესებულია 1-დან 3.

მესაქონლეობაზე სულ მცირე განაკვეთებია დაწესებული იმ მიზნით, რომ ის ჩვენში სულ არ დაიღუპოს. რადგანაც ჩვენში საქონლის რიცხვი დიდად შემცირდა და თავის ღირსებითაც დაეცა, ამიტომ ჩვენს წინაშე სდგება საკითხი იმ ღონისძიებათა მიღების შესახებ, რომელიც საჭიროა მეურნეობის ამ დარგის სრულიად დაღუპვის თავიდან ასაცილებლად. ყოველ შემთხვევაში ყველასთვის ცხადია, რომ ამ საკითხს მეტად ფრთხილად უნდა მოვეპყრათ.

მესაქონლეობის გაუმჯობესება ღირსების მხრით შესაძლებელია მხოლოდ მესაქონლეობის მსხვილ რაიონებში. ამიტომ განაკვეთები საქონელზე ისე ძალიან არ არის გადიდებული, როგორც მარცვლეულობის მეურნეობაზე.

საქონელი გადატანილი არ არის სახნავზე. მას საგანგებო განაკვეთი აქვს. ერთი სული ყოველგვარი მუშა საქონელი უდრის ერთს სულს მსხვილფეხა საქონელს მთელს ამიერ-კავკასიაში.

ექვსი თხა, ან ცხვარი და ოთხი ღორი ერთ სულს მსხვილფეხა საქონელს უდრის.

რამდენის მოცემა შეუძლია სასოფლო სამეურნეო გადასახადს.

ამ კითხვაზე სწორი პასუხის მიცემა, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია. ამის მიუხედავათ გვაქვს ცნობები, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვიქონიოთ დაახლოვებითი წარმოდგენა იმ ხორბლის რაოდენობაზე, რომლის აკრებაც შეიძლება მიმ-

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 138.

თვის დანიშნულ ნედლი მასალისა და ქიმიურ პროდუქტების ბლოკადის შესახებ.

ვერდენის სამხედრო სასამართლომ რამოდენიმე დირექტორს, რომელთაც უარი სთქვეს საფრანგეთისათვის ნახშირის მიწოდებაზე, ციხეში დამწყვდევა მიუსაჯა ფულის ჯარიმის დიდი თანხის შეცვლით. ეს რეპრესიები და აგრეთვე რკინის გზის ხაზის ხშირი ვიფუჟება ნედლი მასალის ნაკლებობასა და მთელ რიგ ფაბრიკებისა და ქარხნების შეჩერებას იწვევს.

რეიხსბანკის ქონების გატაცება

რომი. 19 ივნისი საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ წაიღო რეიხსბანკის კუთვნილი 50 მილიარდი მარკა.

ბერლინი. 19 ივნისი. „ტაიმსის" კომერციული რედაქტორი რეიხსბანკის ფულების გატაცების გამო სწერს: „რეიხსბანკი სრულიად ავტონომიური დაწესებულებაა. მისი ქონების გატაცება არა თუ არა კანონიერია, არამედ უაზროა, რადგან უფრო აძლიერებს სახელმწიფოში შექმნილ ქაოტიურ მდგომარეობას".

ფაშიზმის კრიზისი

მუსოლინის სამზადისი

რომი. 18 ივნისი. საპარლამენტო კომისია, რომელიც იხილავს მთავრობის მიერ შემუშავებულ საარჩევნო რეფორმას, განაგრძობს თავის სხდომებს ჯიოლიტის თავმჯდომარეობით. რეფორმის პროექტს ოპოზიციაში უდგანან სოციალისტები, ლიბერალები და კათოლიკები. კომისიის წევრები: ტურატი, ლაძარი და კიეზა ილაშქრებენ პროექტის წინააღმდეგ. როგორც იუწყებიან, მუსოლინს განზრახული აქვს, რათაც არ უნდა დაუჯდეს მიიღებინოს ეს პროექტი და იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა არ მოიწონა იგი, დაითხოვოს პალატა და გაატაროს საარჩევნო კანონი სამეფო დეკრეტით. საარჩევნო რეფორმის საკითხში პარლამენტი ორ ბანაკად გაიყო, უმეტესობა ოპოზიციაში იმყოფება. პროექტის წინააღმდეგი არიან: სოციალისტები, კომუნისტები, სლავიანები, გერმანელები, სარდინელები, ავტონომისტები და კათოლიკები; მეორეს მხრივ— დანარჩენი პარტიები, რომელთა შორის ზოგიერთები თუმცა არ ემხრობიან ოპოზიციას, მაგრამ მაინც და მაინც დიდი ენთუზიაზმით არ იცავენ მას, მაგრამ შესაძლებელია, რომ კენჭის ყრის დროს მრავალი კათოლიკები თავს შეიკავებენ და მუსოლინის გამარჯვებაც შესაძლო გახდება. **კანონის მიღება არ მიღებაზე დამოკიდებულია დღევანდელი პალატის არსებობა და ფაშისტური მთავრობის ბედი.** თუმცა ფაშისტები შეადგენენ შედარებით ყველაზე მეტ პარტიას, მაგრამ არსებულ სისტემით წარმოებული არჩევნები ვერ მისცემენ მათ აბსოლიუტურ უმრავლესობას. მუსოლინის რეფორმა დამყარებულია იმ პრინციპზე, რომ მთავრობას არ აქვს საკმაო ძალაუფლება, არა ჰყავს უმრავლესობა პარლამენტში, რადგან ასეთ მდგომარეობის დროს, ყოველ უმნიშვნელო საპარლამენტო ჯგუფს ოპოზიციაში გადასვლით შეუძლია გადასწყვიტოს კაბინეტის დაცემა.

რუსეთი და ოსმალეთი

რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა

ანგორა. 18 ივნისი. ამხ. სურიცმა ოსმალეთის გაზეთების წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა: „რუსეთმა და ოსმალეთმა ლიკვიდაცია უყვეს იმპერიალისტური სახელმწიფოების თავდასხმას, ეხლა ორთავე სახელმწიფოს წინაშე სდგას ეკონომიური ფრონტი. ეკონომიური ბრძოლა უძნელესია იარაღით ბრძოლაზე, მაგრამ შეთანხმებული მოქმედებით ამ ფრონტზედაც მივაღწევთ გამარჯვებას. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა სავაჭრო ხელშეკრულების და საკონსულო კონვენციის დადების დაჩქარება. რუსეთი და ოსმალეთის მეგობრობა დამყარებულია ორთავე მხარის ინტერესებზე. ჩემი მიზანია ამხ. არალოვის მიერ დამყარებული მეგობრობის გაგრძელება და გაღრმავება.

სხვადასხვა ამბები

გერმანია.

ქაღალდის ფულების ზღვა.

ბერლინი. 19 ივნისი. რეიხსბანკის უკანასკნელი ბიულეტენის თანახმად ხმარებაში მყოფ ქაღალდის ფულების რაოდენობა 9309 მილიარდ მარკას უდრის

ინგლისი.

აძლიერებენ წყალქვეშა ფლოტს.

[illegible] 19 ი. ჩათამში წყალში ჩაუშვეს მსოფლიოში უდიდესი წყალქვეშა ნავი. მიუხედავათ იმისა, რომ წყალქვეშა ნავის კონსტრუქციას და ტევადობას საიდუმლოთ ინახავდენ, გაზეთებმა მაინც გაიგეს, რომ მისი ტევადობა 3600 ტონას უდრის.

ბელგია.

კაბინეტის კრიზისის გამო.

ლონდონი. 19 ივნისი. „მორნინგ პოსტ"-ი იტყობინება, რომ ბელგიაში ეხლანდელი კაბინეტის კრიზისი გამოიწვია დეკრეტმა სამხედრო ვადის გაგრძელების შესახებ, რაც მოხდა რურის სამხედრო ოკუპაციის აუცილებლობის მიზნით.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მაღაროს მუშების გაფიცვა ზემო-სილეზიაში.

ბერლინი. 17 ივნისი. მაღაროს მუშების გაფიცვა ზემო-სილეზიაში დამთავრდა. აუტანელმა მდგომარეობამ, რომელიც შექმნა პროფკავშირების მიერ გაფიცვის საბოტაჟმა, აიძულა გაფიცვის ცენტრალური ბიურო მოეხსნა გაფიცვა. ფიქრობენ, რომ ბევრ გაფიცულის მიმართ მიიღებენ რეპრესიულ ზომებს. ყოველ შემთხვევაში გაფიცვამ გამოიღო ერთი ნაყოფი: ზემო-სილეზიის მაღაროს მუშები ხელფასის მხრივ ისეთივე მდგომარეობაში არიან, როგორც რურის ქვანახშირის მაღაროების მუშები.

სოფლის მეურნეობის მუშების გაფიცვა.

ბერლინი. 17 ივნისი. სოფლის მეურნეობის მუშების გაფიცვა სილეზიაში გრძელდება. ეს უდიდესი გაფიცვაა სასოფლო—სამეურნეო მუშების. ასეთი გაფიცვა ჯერ არ ახსოვს გერმანიას „ფორვერტსის" ცნობით გაფიცულია 90.000 კაცი.

გაფიცვა ქრისტიანიაში.

ქრისტიანია. 17 ივნისი. გაფიცულ ტყის მუშებსა და მწარმოებლებს შორის მოლაპარაკება შეწყდა. ნიშნათ თანაგრძნობისა გაიფიცა ქაღალდის წარმოების მუშები.

გაფიცვა ბრანდენბურგში

ბერლინი. 17 ივნისი. მუშების გაფიცვა ბრანდენბურგში გრძელდება, ამის გამო ქალაქში საალყო წესებია გამოცხადებული. გაფიცვას ხელმძღვანელობენ კომუნისტები. გაფიცულები მოითხოვენ პროლეტარული თავდაცვის რაზმების შექმნას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

პროგრამა შესრულებულია.

ხარკოვი. 15 ივნისი. ხარკოვის ქარხანამ „ელექტროსილამ" შესრულა საწარმოვო პროგრამა მთლიანად. ქარხანამ გამოუშვა 170.000 მანეთად ღირებული ნაწარმოები.

ოდესის ნავთსადგურში.

ოდესა. 16 ივნისი. დამთავრდა ოდესის ნავთსადგურის ძირის გაღრმავებელი მუშაობა. გაღრმავებულია 17 გემის მისადგომი ადგილი, რაც შესაძლებლობას იძლევა ერთდროულად მიღებულ იქნეს 17 ღრმად მჯდომი ოკეანეს გემები.

ციმბირში დამზადდა.

ნოვონიკოლაევსკი. 17 ივნისი. ციმბირში დამზადდა 3,150.000 ფუთი პური და ამზადებენ 100,000 ფუთ ერბოს.

მიზიდულობა კომუნისტურ პარტიისაკენ.

ოდესა. 17 ივნისი. ოდესის მუშათა შორის თანდათან ძლიერდება მიზიდულობა კომუნისტურ პარტიისაკენ. ყოველ დღე აუარებელი განცხადებები შემოდის პარტიაში შემოსვლის მსურველებისა.

ტვირთები სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე.

მოსკოვი. 18 ივნისი. ყველა ტვირთები, რომელნიც იგზავნება სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სახელზე 1 ივლისიდან 15 აგვისტომდი გადატანილი იქნებიან რიგს გარეშე წესით.

ყირიმის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი.

სიმფეროპოლი. 17 ივნისი. სიმფეროპოლში გაიხსნა ყირიმის პროფკავშირთა საბჭოს 5 პლენუმი. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ნებაყოფლობითი წევრობის კამპანიის შედეგი იყო 97 პროც. პროფკავშირთა წევრების რიცხვი ყირიმში შეადგენს 4.800 კაცს.

სრულიად რუსეთის მელითონეთა ყრილობა

კრების გახსნა.

მოსკოვი. 17 ივნისი. 16 ივნისს გაიხსნა სრულიად რუსეთის მელითონეთა 6-ე ყრილობა. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ტომსკიმ, შეეხო რა იმ პროფესიონალურ მოძრაობას, აღნიშნა საჭიროება გადავიდნენ კამპანიის დამკვრელობითი მეთოდიდან ორგანიულ მუშაობაზე.

ამხანაგების გამოსვლა.

ამხ. ლოზოვსკიმ აღნიშნა მუშათა მასების ყველგან შემჩნეული მარცხნივ გადახრა და მათი პოლიტიკურ და იდეურად ჩამოშორება ძველისაგან. „ჩვენ წინაშეო სთქვა ლოზოვსკიმ სდგას უდიდესი ამოცანა ვაზიაროთ კომუნიზმს ამერიკის და ევროპის მუშები. რამდენადაც ძლიერი იქნება საბჭოთა რუსეთი, მით უფრო მტკიცე იქნება კაპიტალისტური მსოფლიოს გამანადგურებელი ძალები".

ამხ. ლოზოვსკის შემდეგ გამოვიდა ამხ. ბოგდანოვი, გერმანიის მელითონეთა კავშირის ოპოზიციის სახელით ვალხერმა აღნიშნა, რომ თვითეული ცნობა საბჭოთა რუსეთში სამეურნეო ცხოვრების განმტკიცების შესახებ, ამხნევებს გერმანიის მუშებს.

საერთაშორისო მდგომარეობა.

გრძელი სიტყვა საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ, წარმოსთქვა ამხ. ტროცკიმ, რომელმაც აღნიშნა, სხვათა შორის შემდეგი:

„ევროპაში არ არის ნორმალური კაპიტალისტური ცხოვრება. ინგლისის ულტიმატუმი რუსეთისადმი, ბულგარეთის და სპარსეთის გადატრიალებანი, რომელიც მოხდა ინგლისის ოქროს ხარჯით, რურის ოკუპაცია საფრანგეთის როიალისტების ცდები, ახასიათებს მთელი ევროპის მერყევ მდგომარეობას. ამავე დროს ზოგიერთი სიმპტომები ადასტურებენ, რომ ბურჟუაზია ამზადებს სხვა ორიენტაციას. საფრანგეთის ბურჟუაზია თავის ორიენტაციას კერენსკისაკენ მიმართავს. დეპუტატთა პალატის მახლობელი არჩევნები დამთავრდება რადიკალურ-სოციალისტურ რეფორმისტულ ბლოკის გამარჯვებით. ასეთივე ბლოკი მზადდება ინგლისში კერზონის შესაცვლელად. ჯერ-ჯერობით კი ბურჟუაზიას შეუძლია ფაშისტური ომი აწარმოოს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა ინგლისთან განხეთქილების საშიშროება თავიდან არის მოშორებული, მაგრამ ინგლისთან მტკიცე ურთიერთობა ჯერ-ჯერობით არა გვაქვს. ჩვენ მოგველის ახალი გართულება. ჩვენ ძალიან მოკლე დროით შევისვენეთ, მაგრამ სრული გარანტია არა გვაქვს. ჩვენ ვალდებულებათა მიხედვით, ინგლისისათვის საჭიროა აღმოსავლეთის იმ ქვეყნებში ნაციონალურ პოლიტიკის გაწვევება, რომელნიც შედიან კავშირის შემადგენლობაში და უდიდესი ყურადღება გადაიტანოს ამ სფეროში. უნდა განვამტკიცოთ წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობა. არმია ახალ ამოცანებს აყენებს პროფკავშირების წინაშე. სამილიციო არმია უნდა იყოს მუშათა კლასის ორგანო. საჭიროა ჰაეროპლანების მასიური აღმშენებლობა, საჭიროა ჩვენი მრეწველობის განვითარება, განსაკუთრებით ლითონის წარმოების დარგისა. წარმოების კონცენტრაცია და ნაციონალიზაცია— ჩვენი უდიდესი ამოცანაა ისევე, როგორც ოქტომბერში ჩვენი ამოცანა იყო ბურჟუაზიასთან ბრძოლა. ჩვენ ვერ გამოვალთ კოლონიალურ მდგომარეობიდან, თუ ამას არ ჩავიდენთ".

ამხ. ტროცკის მოხსენების გამო, ყრილობამ, ყველა მელითონეთა სახელით გამოსთქვა სრული სოლიდარობა საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო და შინაურ პოლიტიკისადმი და ურყევი გადაწყვეტილება, ყოველივე საშუალებით დაიცვას ეს პოლიტიკა.

ყრილობამ გაუგზავნა მხურვალე სალამი რუსეთის რევოლიუციის შტაბს რუს. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

დინარე სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში.

საქართველოში 1917 წლის აღწერის ცნობებით ითვლება:

სამოსახლო ადგილები სახნავზე გადატანით 61.038 დესეტ. სახნავი 631.811 დესეტ. სათიბები სახნავზე გადატანით 35.685 დესეტ. ბაღები 6.517 დეს. ვენახები 80.960 დესეტ. სულ 816.010 დესეტ.

რომ ვიანგარიშოთ მარტო 800.000 დესეტინა და მხედველობაში ვიქონიოთ საშუალო განაკვეთი—3 ფ. 20 გირ.,—მივიღებთ 2.800.000 ფუთს ხორბალს.

ამავე აღწერით საქონელი იყო 1.600.000 სული. ეს ჯამი რომ 25 პროცენტით შევამციროთ და მსხვილ ფეხა საქლავ საქონელზე გადავიტანოთ, მივიღებთ 1.200.000 სულს, რაიც საშუალო განაკვეთის—10 გირ. მიხედვით მოგვცემს 300.000 ფუთს ხორბალს.

ამ რიგად საქართველომ უნდა მოგვცეს 3.100.000 ფ. ხორბალი.

აზერბეიჯანში 1921 წლის აღწერით ითვლება:

სამოსახლო ადგილი სახნავზე გადატანით	36.032 დეს.
სახნავი დათესილი	461.261 „
დაუთესავი სახნავი	353.824 „
ბაღები	27.237 „
ვენახები	35.372 „
სულ	953.793 „

თუ აქაც ავიღებთ სიფრთხილის გამო 900,000 დესეტინას საშუალოდ 3 ფ. 20 გირ. განაკვეთით, მივიღებთ 3.150.000 ფუთს ხორბალს.

იმავ 1921 წლის აღწერით საქონელი იყო 746,000 სული, რაიც მოგვცემს 186,500 ფუთს ხორბალს: სულ აზერბეიჯანმა უნდა მოგვცეს 3,336,500 ფ.

დაწვრილებითი ცნობები სომხეთის შესახებ ჩვენ არა გვაქვს; სპეციალისტთა აზრით იქ სახნავია 300.000 დესეტინა, ვენახები სახნავზე გადატანით—19.000 დესეტინა, სულ 319,000 დესეტინა, რაიც მოგვცემს 1,116,000 ფუთს ხორბალს. საქონელი 120,000 სული—30,000 ფუთს; სულ სომხეთი მოგვცემს 1,146,000 ფუთს ხორბალს.

მაშასადამე მთელს ამიერ-კავკასიაში ჩვენ უნდა შევაგროვოთ 7,582,500 ფუთი, რაიც ოქროზე გადატანით მოგვცემს 5 მილიონ მანეთს.

შეწერის რაოდენობა.

ჩვენთვის არა ერთხელ უთქვამთ, რომ დაბეგვრის რაოდენობა ამიერ-კავკასიაში დაბალია და საჭიროა გადიდებულ იქნესო.

ჩვენ უკვე აღვნუსხეთ ის მოსაზრებანი, რომლითაც ვხელმძღვანელობდით ასეთის და არა უფრო მაღალი განაკვეთის დაწესების დროს. ჩვენ ერთის მხრით მხედველობაში ვიღებდით სახელმწიფოს ინტერესებს, რომელსაც განსაზღვრული საჭიროებანი აქვს და რომლის შემცირებაც შეუძლებელია და მეორეს მხრით—ინტერესებს სასოფლო-მეურნეობისას. რუსეთის განაკვეთებთან შედარებით ჩვენში განაკვეთები დაბალია.

თუ საკითხს შევხედავთ იმ გადასახადთა რაოდენობის გამორკვევის თვალსაზრისით, რომელიც სასოფლო მეურნეობას უწევდა დეკრეტის გამოცემამდე, მაშინ სულ სხვა, წინააღმდეგ სურათს მივიღებთ; სახელდობრ იმას, რომ შარშანდელთან შედარებით წელს გლეხმა ბევრად უფრო დიდი გადასახადი უნდა მისცეს სახელმწიფოს.

ჩვენ არა გვაქვს ზედმიწევნითი ცნობები იმის შესახებ, თუ წარსულ სასოფლო-სამეურნეო წელში გადასახადებისაგან რამდენი შემოვიდა სომხეთსა და აზერბეიჯანში.

დაახლოვებითი გამოანგარიშებით საქართველოში შემდეგი სურათი იყო.

სასურსათო გადასახადის სახით შეგროვილ იქნა 720,000 ფუთი ხორბალი, რაც უდრის ფუთს თუ 1 მან. ვიანგარიშებთ – 720,000 მან. ოქროთი.

შარა გზით ტვირთზიდვის გადასახადმა—10 კ. სოფლის მოსახლეობის თითო სულზე (2,200,000) 220,000 მან. ყველა სხვა გადასახადები—150,000 მან., სულ საქართველოს სოფლის მოსახლეობისაგან შეგროვილ იქნა 1.090.000 მან. ოქროთი. დაახლოვებით.

ყველა ზემოხსენებული გადასახადები წელს გაუქმებულია და მას ნაცვლად შემოღებულია მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომელიც ჩვენის დაახლოვებითი გამოანგარიშებით მოგვცემს 3.100.000 ფუთ ხორბალს.

ოქროზე გადატანით ეს მოგვცემს (ფუთი 60 კაპ.) 1.860.000 მან. აქ გადასახადი გადიდებულია 50 პროცენტზე მეტით.

ამაზე მეტის მიღება შეუძლებელია.

რაიონებად დაყოფის საკითხი.

რაიონებად დაყოფის საკითხი მჭიდროდ დაკავშირებულია იმ საკითხთან, შეგვიძლიან თუ არა გადასახადი ფულად შევაგროვოთ ამიერ-კავკასიის ყველა კუთხეში, თუ ნაწილი ფულად უნდა შევაგროვოთ და ნაწილი ნატურით.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ შვიდ მილიონზე მეტი ფუთის ხორბლის შეგროვება ამიერ-კავკასიის ფარგლებში წარმოუდგენელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენი მხარე მომხმარებელია და არა მწარმოებელი. მაგრამ არც ფულად შეგვიძლიან სრულად შეგროვება, ვინაიდან, ამდენი ბონები სოფლის მოსახლეობას არ მოეპოვება.

წელს განსაკუთრებით ფულად შეკრების მომხრენი იმ აზრისა არიან, რომ ფული სოფლად გაჩნდება, თუ სახელმწიფო გადასახადს ფულად მოითხოვს. გადასახადის გასტუმრება ნატურით ამბობენ ისინი — ფულის ტრიალის განვითარების პროცესს აჩერებს და მით ხელს უწყობს მეურნეობის ნახევარ ნატურალურ ფორმის არსებობას.

აქ რამდენიმე სიმართლე ურევია, მაგრამ პრაქტიკულად ნატურ-გადასახადიდან უეცრად განსაკუთრებით ფულადს გადასახადზე გადასვლა მოულოდნელად ისეთ შეძვრას მოგვცემს, რომელიც საძირკვლიანად შეარყევს სოფლის მეურნეობას და რომლისგანაც ვერ განიკურნება უახლოეს წლების განმავლობაში.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამიერ-კავკასიის ბონებს სოფლად არ ინახავენ, რადგანაც იგი მტკიცე არ არის. გადასახადის შეგროვების დროს გლეხები დროზე გადასახადის შეუტანლობისთვის ჯარიმის ასაცილებლად იძულებულნი იქნებიან თავისი პროდუქტები ჩალის ფასად გაჰყიდონ. უფრო სამწუხარო ის არის, რომ მარცვლეული გასაყიდად ბევრს არ აღმოაჩნდება ზედმეტის პროდუქტის უქონლობის გამო, ხოლო ძვირფასი კულტურები კი მოსავალს გვიან იძლევიან. ფულის მოთხოვნა იმ დროს არ უწევს, როდესაც სწარმოებს პროდუქტების რეალიზაცია ნორმალურ პირობებში. ამით ისარგებლებენ მსყიდველნი და ეცდებიან ყველაფერი მუქთად ჩაიგდონ ხელში გლეხისაგან, რომელსაც ფული მეტად ეჭირვება. ასეთის ოპერაციით შეიძლება მთლად დაიღუპოს სოფლის მეურნეობა. მეორე მხრით არც ქალაქის მომხმარებელნი მოიგებენ, ვინაიდან სპეკულიანტი არ შეიბრალებს მათ იმის გამო, რომ მან სოფლის მეურნეობის პროდუქტები თითქმის მუქთად ჩაიგდო ხელში.

აი ამიტომ საჭიროა ამ საკითხს ფრთხილად შევეხოთ და არ დავიჩქაროთ ფულადის გადასახადის შემოღება მთელს ამიერ - კავკასიაში. ჩვენ ისეთი პოლიტიკის წარმოება გვიხდება, რომელიც საშუალებას გვაძლევს თანდათანობით ჩავაბათ სოფელი ფულის ტრიალში იმ აზრით, რომ ახლო მომავალში ყველგან უმტკივნეულოდ განვახორციელოთ გადასახადის ფულადი ფორმა.

ამ მოსაზრებით საჭიროა დავაწესოთ როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმა გადასახადის აკრებისა. ამასთან ნატურალურ რაიონებში ნებადართულ უნდა იყოს ფულით შეცვლა თვით გადამხდელთა სურვილისამებრ.

გადასახადის ასეთი წესი ერთის მხრით მეურნეობას არ ავნებს და მეორეს მხრით შეძლებას მოგვცემს უმტკივნეულოდ ჩავატაროთ ნატურალური დაბეგვრის ხაზი.

ა. ერქომაიშვილი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აბხაზეთი.

ბათომის ნავთსადგურში.

ბათომი. იტვირთება გასასვლელად სტამბოლიდან მოსული ინგლისის გემი „ანნა პოტტერ"-ი. საფრანგეთის გემი „სირია" სტამბოლისაკენ გამართა 150 ტონ სხვა და სხვა ტვირთით. ინგლისის გემი „მიტილოფ" იტვირთება ჰამბურგში წასასვლელად და მიაქვს 150,000 ფუთი ზეთეული, 150,000 ფუთი სამანქანე ზეთი და 60,000 ფუთი საპოხი ზეთი. ამ საქონელს ჰგზავნის ბათომში არსებულ ნავთის სინდიკატის კანტორის წარმომადგენელი. საქონელს ჩაიბარებს ჰამბურგში შლიმას ფირმა.

აზერბეიჯანი

ნავთის ნაწარმოების გაზიდვა.

ბაქო. 15 ივნისი. ივნისის 13-დან გაზიდულია: ბაქოდან ასტრახანში 1,815, 105 ფუთი შავი ნავთის ნაწარმოები, 58925 ფუთი საპოხი ზეთეულობა, 116,868 ფუთი ნავთი, პეტროვსკიდან ასტრახანში —გროზნის პარაფინის ნავთი—231,928 ფუთი, კრასნოვოდსკში—204,183 ფუთი. არტემას სახელობის კუნძულიდან ასტრახანში შავი ნავთის ნაწარმოები 307,000 ფუთი; ბაქოდან კრასნოვოდსკში—33,137 ფუთი ნავთი.

ამხ. ტროცკი—საპატიო მეჩექმე.

ბაქო. 15 ივნისი. კასპიის ზღვის წარმოებითი განყოფილების მეჩექმეებმა აირჩიეს ამხ. ტროცკი თავისი სახელოსნოს საპატიო მეჩექმედ, ჩარიცხეს იგი მესამე ხარისხში და დაადგინეს ჩარიცხონ იგი თავისი კავშირის წევრად. ამხ. ტროცკის გაუგზავნეს ერთი პარკი, მეჩექმეობისთვის საჭირო ხელსაწყო იარაღით.

ომში დასახიჩრებულთათვის.

ბაქო 17 ივნისი. ომში დასახიჩრებულთა სასარგებლოდ სახალხო მომარაგების კომიტეტმა შესწირა 1000 ფუთი ხორბალი. აზერბეიჯანის სახელმწიფო ბანკმა გადასდო 100 ჩერვონეცი, სპარსეთის თევზის მრეწველობის სამმართველომ შემოსწირა 50 ფუთი ბრინჯი.

მოსავალი მუღანლოში.

ბაქო. 17 ივნისი. ქერის მკა მუღანლოში დასრულდა. მოსავალი ძალიან კარგია, ადგილ და ადგილ საშუალო. ყანების მკა დაიწყო 16 ივნისიდან. პურის მოსავალი მუღანლოში ძალიან კარგი იქნება, თუ ავდრებმა არ შეუშალა ხელი. ზოგიერთ ადგილებში წვიმებმა გააფუჭა პირნახული.

სომხეთი

პრესის სექცია.

ერევანი 18 ივნისი. 17 ივნისს შესდგა პრესის სექციის თათბირი განათლების მუშაკთა კავშირში. სხვა საკითხებს შორის დასმული იყო საკითხი გაზეთების თანამშრომელთათვის და მუშკორებისათვის ჟურნალისტიკის კურსის დაარსების შესახებ. კურსი უნდა დარჩეს თვე-ნახევრიანი.. კურსები გაიხსნება ახლო მომავალში.

ერევანის აღდგენა.

ერევანი. 10 ივნისი. ქალაქის აღსადგენად მოტანილია 4,200 ცალი დიდი ქვა. გაყვანილია გზა 1250 საჟენის მანძილზე.

სათესლე სესხი.

ერევანი. 18 ივნისი. კამარლინის რაიონის გლეხებს მიეცა 328 ფუთი ხორბალი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(19 ივნისი)

ჩერვონცები	—14,050 ათასი.
გირვან. სტერ. ეფექტ.	—15,050 ათ.
„ ჩეკები	—13 000
დოლარები — ეფექტ.	—3.400
„ ჩეკები	—3.100
ოსმალ. ქაღალ. ლირა	—2.260
იტალიანური ლირა	— 115
ფრანკები ეფექტ	— 170
საბჭ. ფულ. ნიშნები	— 20

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონეცის კურსმა დაიწია ბაქოდან და ერევნიდან დიდძალი ჩერვონეცების ჩამოტანის გამო.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(19 ივნისი).

ცემენტი, მარილი ნახიჩევანის, ჯაგარი, ფანჯრის მინები, ქინაქინა, შპაგატი, ხორბალი ყუბანის, ბრეზენტი, მავთული ეკლიანი, ნედლი ტყავი, მანუფაქტურა რუსეთის, სამუშაო ფეხსაცმელები, ნაწლევები ცხვრის, მედიკამენტები, მატყლი თუშური, ლეკური და ფასანაურის, შაბიამანი, თამბაქო, სამკურნალო მცენარეები.

ოფიციალური გარიგებანი.

ცემენტი—6,75 ჩერვონეცი ბოჭკა ფრანკო ნოვოროსიისკი, ცემენტი— ფრანკო-ბათომი — 14 ჩერვონეცი ბოჭკა.

ბაზრის განწყობილება.

ბაზარს 19 ივნისს საერთოდ გამოცოცხლება ეტყობა, საქონელზე ფასები არ შეცვლილა.

მუშკოოპის ფასები.

(19 ივნისი).

თეთრი პური—60 ათასი, 2 ხარის.—45 ათ., თეთრი ფქვილი—100 ათ. გირვანქა, საპონი „ტოლე"—300 ათ. როსტოვის საპონი—360 ათასი, ძველი ლობიო—20—35 ათასი, ბრინჯი —140 ათასი.

თბილისის ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(19 ივნისი)

სომხეთის სახ. მეურნ. უმ. საბჭოს ქარხნების კონიაკი, ყუბანის ხორბალი, ხორბალი კიურდამირის, შვრია, ფეხსაცმელები (საზაფხულო) პეტროგრადის ქარხნის „ფენიქსის" ფირმას, მარილი, ლორის თაფლი, მაკარონი, რუსეთის წუმწუმა ქარხნების „ირაიდა"—„სოლნცე"—„ვოლკოვ", სრულიად რუსეთის ტყავეულის სინდიკატის პროდუქციები, ფქვილი ამერიკული, გერმანული მედიკამენტები, ჩაი გერმანული, რკინეული, ცემენტი, ფანჯრის მინები, ბოთლები, სოდა კაუსტიური, შაბიამანი.

შრომის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების მუშაკთა კონფერენცია

(სხდომა პირველი).

14 ივნისს, 1-ლ შრომის სკოლის დარბაზში ამხ. **მარიამ ორახელაშვილის** თავმჯდომარეობით გაიხსნა შრომის სკოლების მასწავლებლების მოსამზადებელ კურსების მუშაკთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 120 დელეგატი. კონფერენციის მოწვევის მიზნის და კურსებზე მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მარიამ ორახელაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ დღემდის, საერთოდ სასკოლო საქმე მიმდინარეობდა მძიმე პირობებში საორგანიზაციო და მატერიალურათ უვარგის პირობების გამო, რაც საშუალებას არ გვაძლევდა სათანადო ყურადღება მიგვექცია განათლების საქმისათვის და მასწავლებლებისათვის.

მაგრამ ამ კრიტიკულ მდგომარეობამ განვლო. დღეს ჩვენ ვიმყოფებით გაცილებით უკეთეს პირობებში: მატერიალურად პირობები როგორც სასწავლებლების, ისე მასწავლებლების გაუმჯობეს[illegible] რესპუბლიკის მდგომარე[illegible] ერთად. და ეხლა საშუალება გვაქვს მეტი ყურადღება მივაქციოთ სწავლა-განათლების საქმეს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, სკოლის რეფორმებთან დაკავშირებით რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში მართალია ეწყობოდენ მასწავლებლების კონფერენციები და კურსები, მაგრამ ისინი იყვნენ მეტად უსისტემო, ხანმოკლე, ადგილობრივი განათლების ორგანოების ინიციატივით გამართულნი, ეყრდნობოდენ ადგილობრივ ძალებს და ამის გამო სასურველ შედეგებს ვერ იძლეოდენ.

ცხოვრებამ კი წამოაყენა განათლების სისტემაში დიდი ცვლილებების შეტანის საჭიროება. რვა წლიანი შრომის სკოლა ფრიად საყურადღებო მოსაზრებით უნდა შეიცვალოს ოთხწლედი, შვიდწლედი და ცხრაწლედი შრომის სკოლით. ვისახავთ რა საყოველთაო სავალდებულო სწავლების იდეათ ცხრაწლედს, ანგარიშს უწევთ მატერიალურ შესაძლებლობას და ამიტომ იძულებულნი ვართ საყოველთაო სწავლების გასატარებლად ჯერ-ჯერობით დავემყაროთ ოთხწლედს.

ოთხწლედი, ეს საყოველთაო სწავლების ის პირველი საფეხურია, რომელიც უსათუოთ უნდა გაიაროს ყველა ბავშვებმა. ოთხწლედმა ბავშვებს უნდა მისცეს ცხოვრებაში ორიენტაციისათვის საჭირო ცოდნის მინიმუმი.

შვიდწლედის სამი უკანასკნელი ჯგუფი ოთხწლედის გაგრძელებას წარმოადგენს. შვიდწლედი, ჩვენი წარმოდგენით, საშუალო კვალიფიკაციის მუშაკს უნდა ამზადებდეს, დამთავრებული ზოგადი განათლებით. წელიწადში კურს დამთავრებულებს საშუალება ექნებათ ამა თუ იმ სპეციალურ ტეხნიკუმში თავისუფალ გადასვლისა.

ცხრაწლედის ორი უკანასკნელი ჯგუფი შვიდწლედის გაგრძელებაა. მას ორი მიზანი აქვს დასახული: ერთი—მომზადოს მოქალაქე, რომელსაც შეეძლება რეალურ ცხოვრების შეგნება და ახალი ცხოვრების აგებაში მონაწილეობის მიღება, მეორე—მისცეს უმაღლეს სკოლას შესაფერისად მომზადებული კადრი მსმენელებისა. ცხრაწლედის რიცხვი განსაზღვრული იქნება. ამნაირად დაცული იქნება სახალხო განათლების სისტემის მთლიანობა:

სოციალური აღზრდა.

სასკოლო ასაკამდე აღზრდა 3 წლიდან 7 წლამდე.

9 წლედი

მთლიანი შრომის სკოლა

1-ლი საფეხ.

7 წლედი

მე-2 საფეხური

4 წლედი

საყოველთაო, სავალდებულო და მასიური

7 წლიდან 12—14 წლამდე

3 წლედი

1-ლი კონცენტრი

11 წლიდან 16 წლამდე

2 წლედი

მე 2 კონცენტრი

14 წლიდან 18 წლამდე

ეს სახალხო განათლების სისტემა დამყარებულია იმავე შრომის სკოლის პრინციპებზე. ამ პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა სათანადოთ მომზადებული მუშაკთა კადრი. ამ კადრის შესაქმნელად ცენტრში და პროვინციებში არსდება სპეციალური პედაგოგიური ტეხნიკუმები. მაგრამ სანამ ეს დაწესებულებები მოგვცემდენ შესაფერად მომზადებულ მუშაკებს, საჭიროა მასწავლებლების გადამზადება, რისთვისაც უნდა დაარსდეს საზაფხულო სამასწავლებლო კურსები ორი ჯურის: პირველი —ორი თვე ნახევრიანი დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებლებისათვის 9 პუნქტში და მეორე თვენახევრიანი ნაკლებად მომზადებულ მასწავლებლებისათვის 6 პუნქტში. ამას გარდა რესპუბლიკის 44 პუნქტში უნდა გაიმართოს კონფერენციები მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლებისათვის.

ამნაირად ზაფხულის განმავლობაში კურსები უნდა გაიაროს არა ნაკლებ 1500 მასწავლებლისა, გარდა იმ პირთა, რომელნიც კონფერენციას გაიარენ.

ამ კონფერენციის მიზანია მომავალ [illegible] სასწავლო გეგმების გაცნობა და თეზისების შემუშავება, რათა მასწავლებელთა გადამზადება ერთი გზით და გეგმით ხდებოდეს.

მომხსენებელმა უნდა წარმოუდგინოს ამ კონფერენციას კონსპექტი ან თეზისები იმ საგნისა, რომელიც მას განზრახული აქვს წაიკითხოს კურსებზე. ყველა საგნების კონკრეტულად შემუშავებული მთლიანი პროგრამა განზრახული გვაქვს დავბეჭდოთ და დავამზადოთ კურსებისათვის. ვფიქრობ, ეს დიდ დახმარებას გაუწევს მსმენელებს.

შემდეგ ამხ. ორახელაშვილი სხდომას მოახსენებს კურსების სასწავლო გეგმებს.

(დასასრული იქნება)

პროფკავშირებში

მიწა-ტყის კავშირში.

ბათომის მუშების დადგენილება.

ბათომის მიწა-ტყის კავშირის მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთ კრებაზე დაადგინეს: შესწირონ კურორტ „არაზინდოს" სასარგებლოდ ერთი დღის ხელფასის ნამუშევარი და მთელი შემოსული თანხა გადასცეს საქართ. პროფსაბჭოს აღნიშნულ მიზნისთვის.

კლუბი—ბაღში.

ბათომის ბოტანიკურ ბაღში დაარსდა კლუბი ბაღის მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბის საქმეებს განაგებს ადგილკომი. კლუბში მუშებისთვის მოეწყობა ლექციები

წერა კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია.

სალიბაურის მამულში არსებობს წერა-კითხვის უცოდინართათვის სკოლა, ამ დღეებში მოსწავლენი დაათავებენ სწავლას და მათი გამოცდები მოხდება. გამოცდებს უხელმძღვანელებს კულტ-განყოფილება.

პროფმუშაობა ბათომში.

პრეზიდიუმის დადგენილებით, განზრახულია პროფმუშაობის ჩატარება დღიურ მუშებში. ადგილკომს დავალებული აქვს მოაწყოს საერთო კრებები ამ მიზნით, რომელზედაც მუშებს აეხსნებათ პროფკავშირების დანიშნულება და მოვალეობა.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში.

ლექციები - ქართულ ენაზე.

სალექციო ბიურო ახლო მომავალში მოაწყობს მთელ რიგს ლექციებისას ქართულ ენაზე. მოწვეულნი არიან საუკეთესო ძალები. გეგმა, რომელიც წარმოდგენილია მომხსენებლებიდან პროფსაბჭოს მიერ დამტკიცებულია. ლექციები გაიმართება მუშათა კლუბებში.

ექსკურსია - მყინვარზე.

კულტგანყოფილების საექსკურსიო ბიურო შეუდგა სამზადისს და მოკლე ხანში გამართავს ექსკურსიას მყინვარზე. ამ მოგზაურობას ხელმძღვანელობენ სპეციალური პირები.

ქიმიკოსთა კავშირში.

კარლ მარქსის სახელობის ქარხანაში

კარლ მარქსის სახელობის ქარხანაში შესდგა მუშების გაერთიანებული კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა ზეთის და საპონის ტრესტის გამგეობამ თავის მოქმედების შესახებ და აღნიშნა უახლოესი პერსპექტივები თავის მრეწველობის დარგში.

„ცეკავშირის" კერამიული ქარხანა.

„ცეკავშირი"-ს კერამიულ ქარხანაში კარგად არის დაყენებული მრეწველობის განვითარების საქმე და გარდა ამისა კარგად არის მოგვარებული სატარიფო-ეკონომიური საკითხი. ყველა მუშები ხელფასის მხრით დაკმაყოფილებულნი არიან.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში

— **უძრავ ქონებათა სამმართველო** უძრავ ქონებათა სამმართველოს ფორმას და საბოლოო გეგმის შემუშავება დაევალა კომისიას ამხ. ელენტის, ღლონტის, დოლიძის და სახულიას შემადგენლობით.

— **გადასახადების აკრების შეჩერება.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო შეჩერებულ იქნეს თფილისის მაზრაში გაწერილი სარწყავი (სამელიორაციო) გადასახადი მისი არა სწორედ გაწერისათვის.

— **შტატების შემცირება** პრეზიდიუმის დადგენილებით შტატების შემცირების დროს უნდა იქნეს სახელმძღვანელოთ მიღებული შემდეგი: 1) თანამშრომელთა შრომის უნარიანობა, 2) სამსახურის ხანგრძლივობით, 3) ქართული ენის ცოდნა, 4) კეთილსაიმედობა.

— **გეგმის დამტკიცება** საბჭოს სექციების სამუშაო გეგმა პრეზიდიუმმა დაამტკიცა და დაავალა ამხ. ვარძიელს აღმასკომის სხდომაზე გააკეთოს შესაფერი მოხსენება სექციების მუშაობის შესახებ.

— **სარწყავ მიწების გამორკვევა.** დაევალა საადგილ-მამულო გ.ნ. გამოარკვიოს რაოდენობა იმ მიწებისა, რომლებიც ირწყვებიან არხების საშუალებით.

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალში.

— **ყალბი წამლების დამზადებისათვის.** აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალი 22 ივნისს საჯარო სხდომაზე გაარჩევს ქალ. 1-ლ საავადმყოფოს გამგის მოქ. ანტონოვის საქმეს, რომელსაც ბრალათ ედება აღნიშნულ საავადმყოფოსათვის ყალბი წამლების დამზადება პირადი სარგებლობის მიზნით. ბრალდება გათვალისწინებულია სისხ. ს. კ. 113 მუხ. ძალით.

— **მკვლელობა.** ლიუქსემბურგის—რატევანის (ბორჩალოს მაზრა) მანთაშისეულ მამულთან აღმოაჩინეს ქ. ჯალალ-ოღლის მცხოვრებელ საგათელ გრიგორის ძე ხოჩოიანის გვამი, მკვლელი აღმოჩნდა ლიუქსემბურგის მცხოვრები ავეტიქ არუთიანის ძე მინასოვი. დამნაშავე გადაეცა აღ. საქ. რევტრიბუნალს.

— **ავაზაკების შეპყრობა.** შეპყრობილთა და აღ. საქ. რევტრიბუნალზე გადაცემულნი იქნენ სოფ. არალუხის და ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნი რუსტამ პაშა ოღლი და ბაგრამა მამედ ოღლი, რომელნიც ბრალდებათ ყაჩაღობა.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში.

— **არტელის დაარსება.** სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დააარსა ომში დაჭრილ დასახიჩრებულებისაგან სავაჭრო-სამრეწველო არტელი.

— **გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტები.** ამავე კომისარიატის მიერ დაარსებული იქნა გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტები სოღლანში და მამკოდში.

კოოპერაცია.

— **მატყლის დამზადება.** ა.-კ. კოოპ. ცენტრალური კავშირი შეუდგა მატყლის შესყიდვას საქართველოს სხვა და სხვა მხარეებში - განზრახულია შესყიდულ იქნეს 20,000 ფუთი მატყლი.

— **მზრუნველობა ბავშვებზე.** ა.-კ. კოოპ. ცენტრ. კავშირმა აიღო მზრუნველობა ბავშვთა თავშესაფარზე, რომელსაც აღუთქვა 75 მილიონი მანეთის სურსათ სანოვაგის მიწოდება ყოველ თვიურათ.

შრომის ბირჟაში.

— **უმუშევრები.** ივანობისთვის 18-ს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 723 უმუშევარი. ჩაეწერა ახალი უმუშევრები ამავე დღეს—119, გაიგზავნა სამუშაოზე—43.

ხელოვნება

საღამო 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიაში.

ყოველწლიური საზეიმო აქტი 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიაში შესდგა ყველა გამოცდების შემდეგ, რომლითაც დამთავრდა რესპუბლიკაში უმაღლეს მუსიკალურ განათლების დამნერგავ დაწესებულების სამოსწავლო წელი. საღამო დაიწყო კონსერვატორიის 1922—1923 წლ. მოღვაწეობის ანგარიშის წაკითხვით. ანგარიში წაიკითხა კონსერვატორიის ინსპექტორმა მოქ. ჩიმოდანოვმა. ანგარიშიდან აშკარა იყო, რომ კონსერვატორიის მოღვაწეობა ინტენსიური ყოფილა და ნორმალურად მიმდინარეობდა, მიუხედავად ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებისა რესპუბლიკაში, უმთავრესად ეკონომიურის. საქმის სწორ ნიადაგზე დაყენებაში უმთავრესი დამსახურება მიუძღვის, როგორც სამხატვრო საბჭოს, ისე ადმინისტრაციას დირექტორისა, ინსპექტორის და კონსერვატორიის სხვა უფრო ნაკლებ პასუხისმგებელ მოსამსახურეების სახით. ერთი წლის განმავლობაში მოწყობილი იყო 18 მოწაფეთა საღამო (საზოგადოების თანადასწრებით), ორი სიმფონიური კონცერტი და ერთი საოპერო ვარჯიშობის საღამო, სადაც საკონცერტო შესრულებით დადგმული იყო ჩაიკოვსკის ერთ მოქმედებიანი ოპერა—იოლანტა და მე 4 მოქმედება ზაქარია ფალიაშვილის ქართულ ეროვნულ ოპერიდან „აბესალომ და ეთერი".

მოწაფეთა რიცხვი სამხატვრო საბჭოს დადგენილების თანახმად (რომელზედაც მე ვლაპარაკობდი ჩემს წერილში „სწავლის დაყენების შესახებ 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიაში") არ აღემატება 600 კაცს. რასაკვირველია კონტინგენტი უფრო დიდი იქნებოდა, მაგრამ სამხატვრო საბჭო მოწაფეთა მკაცრ ფილტრაციას ეწევა და სტოვებს მხოლოდ ისეთ მოწაფეებს, რომელნიც კონსერვატორიის მოთხოვნილებებს უპასუხებენ. ყველაზე უფრო მრავალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ხელოვნების კავშირის მუშებში

გაზეთ „კომუნისტ“-ის № 101-ში მოთავსებული იყო წერილი მეორე რაიონის კინო-თეატრების ორ ელექტრო—სადგურების მემანქანეთა სატარიფო ხარისხების შესახებ. წერილის ავტორი მოითხოვდა მუშების სახელით სატარიფო ხარისხების მომატებას მთელი „კინო-თეატრების“-ს მუშა-მოსამსახურეთათვის. როგორც სამართლიან და კანონიერ მოთხოვნილებას, მას მიექცა სათანადო ყურადღება პროფკავშირის მიერ და ამხ. ყურულაშვილის შეთანხმებით ხელოვნების კავშირთან იქნა შესწორებული აღნიშნული ტარიფიკაცია—15 მაისიდან. ამგვარად თბილისის „კინო-თეატრების“-ს მუშა-მოსამსახურეებმა უკვე მიიღეს ხელფასი მომატებული რაოდენობით, რის გამო აღნიშნული მუშები გულწრფელ მადლობას უცხადებენ გაზეთ „კომუნისტ“-ის რედაქციას, რომელმაც გამოაქვეყნა მუშათა პირ-ვარამი მუშათა პრესაში, რითაც ხელი შეუწყო შრომის ხელფასის ნორმალურად გადიდებას და საერთოდ შრომის პირობების გაუმჯობესებას. მხოლოდ რაც შეეხება ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას, ზოგიერთ „კინო-თეატრებ“-ში ის არ არის დადებული, მაგრამ იმედია, რომ ახლო მომავალში ეს საკითხიც მოგვარდება ჩვენი კავშირის დახმარებით.

მუშკორი გ. მ.—შვილი

საჭიროა ყურადღების მიქცევა.

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოთ).

ორთაჭალაში ძალიან ბევრი ფაბრიკა-ქარხნებია მოთავსებული, როგორც მაგალ. ს. მ ე. ს. მთავარ ტყავის განყოფილების, ზეთის, საპნის და ძაფის ტრესტის სხვა და სხვა ფაბრიკები. ცხადია, ყველა ამ ფაბრიკებში იყრის თავს მუშების დიდი რიცხვი, რომელთაგან დიდი უმრავლესობა ქარხნებიდან ძალიან შორს ცხოვრობს. ორთაჭალის მიმართულებით კი მუშაობს მხოლოდ ერთი (ტრამვაის) ვაგონი, რომელმაც უნდა ზიდოს როგორც ყველა ხსენებულ ფაბრიკა ქარხნების მუშა-მოსამსახურეები, ისე ყველა ამ რაიონში მცხოვრებნი და სოფლებიდან შემოსული მოქალაქეებიც.

ამ ერთ ვაგონში ყოველთვის სივიწროვეა და ადვილი წარმოსადგენია ხსენებულ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მდგომარეობა იმ დროს, როცა ისინი სამსახურში მიეჩქარებიან, ან და სამსახურიდგან შინ ბრუნდებიან და ვაგონში კი ადგილს ვერ შოულობენ, რისთვისაც ქვეითად მგზავრობის გამო დილას ფაბრიკაში სამუშაო ენერგია აკლდებათ და სამსახურიდგან დაბრუნებულნი, მუშაობით დაღლილნი, კიდევ უფრო იქანცებიან. ხსენებულ მუშების მდგომარეობას უნდა მიექცეს ყურადღება და იქნეს მიღებული სათანადო ზომები, რათა ამ მიმართულებით მომუშავე ტრამვაის მიემატოს კიდევ ერთი ვაგონი, რითაც შესაძლებელი იქნება ხსენებულ მუშათა მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესება.

მუშ-კორი მოკეთე.

სუმბათაშვილის და ამხანაგობის ტყავის ქარხანაში.

ხსენებულ ქარხნის ყველა მუშები პროფკავშირის წევრებია. ჯამაგირს ღებულობენ მეპატრონეებიდგან თავის დროზე პროფკავშირის 17 ხარისხოვანი ქსელის მიხედვით. ადგილობრივ არსებული კომუჯრედის დადგენილების თანახმად ახლო მომავალში აქ მოეწყობა პოლიტიკური წრე სომხურ ენაზე; ქართველი მუშები კი შეერთებულ იქნებიან ყოფილ ადელხანოვის ქარხნის ქართულ პოლიტ. წრესთან.

მუშ-კორი მოკეთე.

აუტანელი მდგომარეობა

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

უმუშევრად დარჩენილი მზარეული ვარ. ჩემი ოჯახი 5 სულისაგან შესდგება, ვარ უბინაოდ. ვცხოვრობ ერთ უმზეო და უსინათლო სარდაფში.

ბინა აღმოვაჩინე; თუმცა ისიც ცუდი ოთახია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ახლანდელს სჯობია. ეს ოთახი მოთავსებულია სამხედრო ქუჩაზე № 3. აქ მეეზოვე სცხოვრობდა წინათ. მეეზოვე უკეთეს ბინაში გადიყვანეს. მისი ძველი ოთახი კი გამოკეტილია. სახლის მეპატრონეს სურს იგი საწყობად გადააქციოს. საწყობისათვის სხვა სარდაფებიც ბევრია ამ სახლში აქვე, ამ სახლში ერთი ოთახია, რომლის „დათმობისათვის“ 20 მილიონს მთხოვენ. მე კი ამის საშვალება სრულებით არა მაქვს.

ქალაქის აღმასკომში შევიტანე სათანადო განცხადება, მაგრამ პასუხი არა სჩანს. განცხადება ალბად საკანცელარიო ქაღალდებში ჩაიხრჩო.

უმუშევარი რ. ხალათიანი.

მუშათა ქრონიკა.

— **მთავარ საავადმყოფოში.** რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს მუშა—მოსამსახურეებმა მუშათა დასასვენებელ სახლებისათვის და „არაზინდოს“ მოსაწყობად გადასდვეს თავისი დღიური ხელფასი.

— **ელექტრო სადგურში.** 1 საბჭოთა ელექტრონის სადგურის მუშებმა საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ გადასდვეს ერთი დღის ხელფასი.

— **ამავე მუშებმა** უმწეო ბავშვთა სასარგებლოდ გადასდვეს დღიური ხელფასი.

— **აქაურ მუშებმა** წითელი ფლოტის სასარგებლოდ გადასდვეს თავის ერთი დღის ხელფასი.

— **შრომის ექსპლოატატორების პასუხისგებაში მიცემა.** თბილისის მეოთხე რაიონის შრომის ინსპექტორის მიერ, შრომის ექსპლოატაციისთვის შეყენებული აქვთ ოქმები შემდეგ მოქალაქეებს:

მინდიაშვილს იოსებ გიორგის ძეს (ღვინის საწყობის პატრონი მუხრანის ქუჩა № 2), რომელიც განუსაზღვრელად ამუშავებდა მცირეწლოვან ყმაწვილს, არ ჰყავდა ის დაზღვეული და არ აძლევდა მას საანგარიშო წიგნაკს.

იასეშვილს სიმონს და ბეიტრიშვილს ალექსანდრეს (სასადილოს პატრონები 19 თებერვლის ქუჩაზე), რომელნიც ექსპლოატაციას ეწეოდენ 2 მუშისა და 1 მცირეწლოვან ყმაწვილის შრომისა და მათ მიმართ არავითარ შრომის კანონებს არ იცავდენ.

რიცხოვანია ფორტეპიანოს კლასი 273 მოწაფე), შემდეგ სიმღერის კლასი (163 მოწაფე), ჭიანურის—55, ვიოლინის—16, ჩასაბერ ინსტრუმენტების—52 და განსაკუთრებით მცირერიცხოვანია თეორიული საგნების კლასი—45.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ შესდგა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს კონსერვატორიის კურს-დამთავრებულმა საუკეთესო მოწაფეებმა.

„იაროსლავნას ტირილი“ ოპერა თავად იგორიდან შეასრულა მოწაფე ქალმა კალიშევსკაიამ (უფროს მასწავლებლის მიხალსკაიას კლასი). მეტნერის „იდილია—მოცარტის“ და შოპენის ვალსი შეასრულა მოწაფე ქალმა შაგერზოვიამ (პროფესორ აისბერგის კლასი). მოროზოვას არია ჩაიკოვსკის ოპერა „ოპრიჩნიკიდან“ შეასრულა მოწაფე ქალმა შმიდტისამ (უფროს მასწავლებლის რეზიმოვას კლასი); ლისტის მე-12 რაპსოდია შეასრულა მოწაფე ქალმა ოსმანგულმა (პროფესორ ტრუსკოვსკის კლასი); რატმირას არია გლინკას ოპერიდან „რუსლან და ლიუდმილა“ შეასრულა მოწაფე ქალმა რუდენკომ. შუმანის—არაბესკები და ლისტის—ეტიუდი შეასრულა მოწაფე ქალმა გარბუზოვამ (პროფესორ კესნერის კლასი). პროხის—ვარიაციები შეასრულა მოწაფე ქალმა კაგაროვისამ (პროფესორ რიადნოვის კლასი. რახმანინოვის კონცერტი c-moll (პირველი ნაწილი) შეასრულა მოწაფე ქალმა პიაროვამ (პროფესორ აისბერგის კლასი).

არია ჩაიკოვსკის ოპერა „მაზეპა“-დან შეასრულა მოწაფე ქაშაკაშვილმა (პროფესორ ჯაყელის კლასი). ლისტის კონცერტი (es-dur) შეასრულა მოწაფე ქალმა ევტიევისამ პროფესორ აისბერგის კლასი). გლაზუნოვის კონცერტი შეასრულა მოწაფე სერგეევმა (პროფესორ ლედნიკის კლასი). საერთო კარგ შესრულებიდან მე მაინც გამოვყოფ მოწაფე ოსმანგულის, რუდენკოს, გარბუზოვას, პიაროვას, სერგეევისა და ქაშაკაშვილის შესრულებას.

ყველა ისინი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულნი არიან ესტრადისა და საოპერო შემსრულებლების ყველა ვირტუოზულ თვისებებით.

მუსიკოსი.

— **თეატრი მუშებისათვის.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა გადასდო 500 მილიონი მანეთი მუშებისათვის მოსკოვის სამხ. თეატრის მეორე სტუდიის წარმოდგენების მოსაწყობათ.

— **პროლეტარულ ასოციაციაში.** პროლეტარულ ასოციაციას სომხურმა სექციამ აღძრა შუამდგომლობა სოც. აღზრდის მთავარმმართველობის წინაშე, რათა აღნიშნული სექციას წარმომადგენელი დაშვებული იქნას სოც. აღზრდის მთავარ-მმართველობასთან არსებულ სალიტერატურო სამხატვრო სექციის სარედაქციო კოლეგიაში სომხურ ენაზე საბავშო გამოცემათა გასაფართოებლად.

— **ევრეინოვი და კამენსკი ტფილისში.** ტფილისში ჩამოვიდნენ რეჟისორი ევრეინოვი და პოეტი კამენსკი. ევრეინოვი წაიკითხავს ლექციას: ლიტერატურულ პარიზის შესახებ, ხოლო კამენსკი—ლიტერატურულ მოსკოვზე.

— **მუშა-მსახიობის ბესო მაისურაძის იუბილე** 23 ივნისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება მუშა-მსახიობის ბესო მაისურაძის იუბილე მისი სასცენო და საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე 30 წლის შესრულების გამო.

— **ოპერა წითელ-არმიელებისათვის.** წითელ არმიელთა საზაფხულო კლუბში დაიწყო საოპერო წარმოდგენები წითელ-არმიელებისათვის. არმიელებისათვის დასწრება უფასოა.

პროვინციაში

ასკანის თემი (ოზურგეთის მაზრა).

ი. წ. 9 ივნისს, შაბათს, 8 წლ. შრ. სკოლის მე 4 ე კლასის მოწაფეების მიერ გაიმართა საღამო—წარმოდგენა. საღამოს შემდეგ ამავე მოწაფეების მიერ იქნა მოწყობილი გამოთხოვების ვახშამი, რომელზედაც მასწავლებლებს გარდა მოპატიჟებული იყვნენ ადგილობრივი აღმასკომის და თემკომის წარმომადგენლები. მასწავლებლების მიერ წარმოთქმული იქნა შესაფერი სიტყვები. აღმასკომის წარმომადგენელმა ამხ. პ გ—ძემ თავის სიტყვაში სხვათაშორის სთქვა: „მოწაფეებო! თქვენ ხართ მომავალი იმედი და სიცოცხლე, რომელთაც სიხარულით შემოგცქერით როგორც თქვენი მშობლები, ისე მთელი მშრომელი ხალხი. სულით და გულით გისურვებთ, რომ არ შეჩერებულიყოს პირველ საფეხურზე თქვენი სწავლა, და გადაველახოთ ყოველგვარი დაბრკოლებები სწავლის გასაგრძელებლათ. სკოლის გარეშეც, ცხოვრებაში გესწავლოთ ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის, სისწორით თვალყური გედევნებიოთ ცხოვრებისათვის და არ ჩამორჩენოდეთ იმ დიად მოძრაობას, რომელიც ლამობს მთელ ქვეყანაზე შრომის განთავისუფლებას“. იქნა აგრეთვე შესაფერი ლექსი წაკითხული მასწ. ქ ჯაველიძის მიერ. მასწავლებელ ქ ლის ნ. ნინიძის მოხდენილმა სიტყვამ მოწაფეებისადმი, მოწაფეები აატირა.

10 ივნისს იქნა მოწვეული ამ თემის საზოგადო მიტინგი, რომელსაც დაესწრო მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა. მიტინგის დღის წესრიგში გასარჩევად იდგა შემდეგი კითხვები:

1. ერთიანი მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ.
2. საძოვარი მთის გარშემო.
3. ტირილი—ქორწილის და საეკლესიო დღეობების მოსპობის შესახებ.
4. ძმ. ქუთათელაძეების შემოწირულების შესახებ და სხვა მიმდინარე საკითხები.

ყველა—აღნიშნულ საკითხებზე ადგილობრივი აღმასკომის წარმომადგენლების მიერ გაკეთდა შესაფერი მოხსენებები. მიტინგს თავმჯდომარეობდა მოქ. კ. შევარდნაძე, მდივნობდა ამხ. ან. ანდღულაძე.

პირველ საკითხზე კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ სამეურნეო გადასახადი თემს გადაწეროს ფულით და აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ სექტემბრამდე ნუ გაიწერება ასკანის თემზე ეს გადასახადი.

საძოვარი მთის შესახებ მსჯელობის შემდეგ, კრებამ საქმის ხელმძღვანელებათ აირჩია ორი კაცი, სოლომონ სიამაიშვილი და არსენ წიტაიშვილი კრების მიერ გამომუშავებულ ნორმის თანახმად მწყემსმა უნდა აიღოს ულელი ხარსა, ცხენსა და ძროხაზე ოთხი ფუთი სიმინდი ან მისი საფასური. ბაჟს იხდის საქონლის პატრონი. ბაჟის გამო ადგილობრივი ხელისუფლება აღძრავს შუამდგომლობას, რომ ბაჟი მოისპოს ან შეუმცირდეს. ამ საქმისთვის არჩეული პირები პასუხისმგებლნი იქნებიან თემის წინაშე.

ხანგრძლივ კამათის და აზრთა გაცვლა-გამოცვლას იწვევს ტირილ-ქორწილის და საეკლესიო დღეობების მოსპობა თემში. მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: სრულებით მოისპოს ქელეხიანი ტირილი და მასთან დაკავშირებული ძველი ტრადიციული ცერემონიები, როგორიცაა მაგალითად: წაბურვა, ზარი და ფართო მამყოლი ტირილზე, სანთლები, ხელოვნური ქვის „გვირგვინები“ და სხვ. (დასაშვებია მხოლოდ ყვავილებით) მოისპოს თავზე გადასაგდებინი — მისალოცი ქორწილები თავისი ძველი ცერემონიებით და ადათებით.

მოისპოს ყოველგვარი საეკლესიო დღეობები და გამოცხადდეს გაზეთში, რომ ნუ შეიწუხებენ თავს ნათესავები და მახლობლები და ასეთ დღეებში ნუ მობრძანდებიან. ვისაც ნათესაური და მეგობრული გრძნობით სურთ გართობა, მობრძანდეს მხოლოდ და მხოლოდ მუშების და გლეხების დღესასწაულზე პირველ მაისს, ან და მუშების და რევოლიუციის სხვა რომელიმე დღესასწაულებზე. ვინც ზემო აღნიშნულ დადგენილებებს დაარღვევს აღნიშნულ თემში, ის იხდის ჯარიმას ოცდახუთ მანეთს ოქროს კურსით, რომელიც მოხმარდება ასკანის კულ. განმ. საზოგადოებას. ეს დადგენილება სისრულეში მოყავს ადგილობრივ ხელისუფლებას.

საინტერესო კამათს და აზრების შეხლა-შემოხლას იწვევს ძმ. ქუთათელაძეების მიერ დაპირებული შემოწირულება, რომელიც გამოაცხადეს მათი გარდაცვალებული ძმის, სერგი ქუთათელაძის დაკრძალვის დღეს, მისი ხსოვნის აღსანიშნავად. კრება უკმაყოფილებას უცხადებს ძმ. ქუთათელაძეებს საზოგადოების მოტყუილებისთვის და ნიშნათ პროტესტისა ამას აცხადებს გაზეთში.

დაპირებული შემოწირულება—განსვენებულის მეექვსედი ნაწილი მოძრავი ქონებისა—უნდა მოხმარებოდა კულტ. განმ. საზოგადოებას. ძმ. ქუთათელაძეებმა კი მოხერხებულათ დაფარეს გარდაცვალებულის ქონება და გამოაჩინეს მხოლოდ ერთად ერთი ძროხის მეექვსედი ნაწილი, რომელიც არ მიიღო საზოგადოებამ, რადგან თემისთვის ნათელი იყო და და არის, რომ გარდაცვალებულს საკმაოთ დარჩა ქონება

11, 13, 15 ივნისს, ოქმით და აღწერილობით გადმობარებული იქნა ამავე თემის სოფლების ეკლესიებიდან საეკლესიო ქონებები და ნივთები. თუ რაიმე ძველი მატერიები იყო გამოუსადეგარი სახალხო სახლისთვის, თეატრისთვის, ის დაურიგდა ქრივობლებს და გაჭირვებულებს ძვირფასი განძეულობა ქონება კი ინახება ადგილობრივად აღმასკომის პასუხისმგებლობის ქვეშ.

პრ. ახკანელი.

სოფ. საქარა (შორაპნის მაზრა).

ადგილობრივი ეკლესია გადაკეთებულ იქნა კლუბათ, მოეწყო სცენაც. 1 ივნისს საღამოს 8 საათზე გაიხსნა საზეიმო საღამო. შინაარსიანი მოხსენებით „სარწმუნოება-მეცნიერების“ შესახებ გამოვიდა ამხ. კაპანაძე. მეორე ნაწილში იყო წარმოდგენილი რევოლიუციონური პიესა „სულის მამა“ ანტისარწმუნოებრივი შინაარსის და დასასრულ გაიმართა ცეკვა. საღამოს 12 საათზე დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა.

9 ივნისს უკვე საკმაოთ ჩამოყალიბებულმა ადგილობრივმა დასმა კვლავ დადგა კლუბში 2 მოქმ. დრამა—„რევოლიუციის მოლოდინში“. წარმოდგენა სრულიად დამაკმაყოფილებლათ ჩატარდა. ეტყობოდა, სცენის მოყვარე ახალგაზრდობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია დაწყებულ საქმეს.

ამნაირად, კლუბმა როგორც მეცნიერების და ხელოვნების ერთ-ერთ ტაძარმა, დაიკავა ძველი კერპების ადგილი. კლუბის გამგეობას უნდა ვუსურვოთ აწარმოოს შემდეგშიაც ასეთივე სწრაფი, რევოლიუციონურ-კულტურული მუშაობა გლეხების გამოსაფხიზლებლათ. საჭიროა კლუბთან დაჩქარებით მოეწყოს სამკითხველოც.

კლუბი არის ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობის.

ამ დღეებში, ამავე თემში, სოფ. არგვეთის ყოფილ ეკლესიაში გაიხსნება მე-2-ე კლუბი.

მ. დონდუა.

ბიბლიოგრაფია

„გრდემლი“ № 3.

ჩვენი სამხატვრო ლიტერატურა ყოველთვის ღარიბი იყო. ეს განსაკუთრებით ითქმის სამხატვრო ჟურნალის შესახებ, რომელიც ძლიერ იშვიათად გამოჩნდებოდა და ხშირად თავისი სრული უშინაარსობით ყოველივე ხასიათს დაუკარგავდა მკითხველს.

ჩვენში ხშირი იყო ისეთი პერიოდები, როდესაც ამ მხრივ საზოგადოება იკვებებოდა მხოლოდ „სახალხო ფურცლის“ კვირეული სამხატვრო დამატებით, ან საესებით იფლებოდა „თეატრი და ხელოვნების“ არიმათიელთა წუმპეში.

მართლია, ჩვენში იყო ისეთი ხანაც, როდესაც „გრდემლი“ თავისი უამრავი სახელოვნო, სალიტარატურო და საილუსტრაციო მასალით, ხოლო „შვიდი მნათობნი“ მასალის არაჩვეულებრივი შერჩევით სანიმუშო გაკვეთილს და საშვალებას აძლევდა სამხატვრო შემოქმედების ასპარეზს—მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი, რადგან ყოველთვის მკითხველი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ის კითხულობდა უკანასკნელ ნომერს და შემდეგში ვერ ეღირსებოდა დაწყებულ მოთხრობის დამთავრებას.

ორივე შემთხვევაში წინასწარი გრძნობა გამართლდა.

ამ ჟურნალების შემდეგ ჩვენ ხვირიანი ჟურნალი სანთლითაც ვერსად მივაგენით, ხოლო წელს ველირსეთ „გრდემლს“, რომლის პირველივე ნომერი უტყუარ ნაშნებს იძლეოდა უკეთესი მერმისისათვის. მართალია, ჟურნალს მაშინ დიდი [illegible] ჰქონდა, მაგრამ მისი [illegible] ძლიერ გამო[illegible] 1922 [illegible], რომლის გარეგანი მხარე 20 [illegible] გამოკლებით, სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ყველაზედ უფრო საყურადღებოა ეხლად გამოსული მესამე ნომერი, რომლის გარეგანი მხარე სავსებით დაძლეულია და რომელიც ამ ჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს შინაარსის მხრივაც. ჟურნალში მოთავსებულია ივ. იოსელიანის მოთხრობა „დაწყევლილი“, რომელიც თავისი მხატვრული ღირსებით მშვენიერ ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს. დღეს თითქმის ყველანი სწერს ლექსს და სავსებით დავიწყებულია პროზაიკული მხატვრობა; ყველას თავი პოეტად მიაქვს, თუ ორიოდე ლექსი გამოაცხო. სწორედ ამიტომ, ასეთ პირობებში პროზაიკული მხატვრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს. მართალია, მოთხრობა ჯერ ამავე ნომერში არ არის დამთავრებული, მაგრამ რაც დაიბეჭდა ისიც საკმარისია, რომ იქონიო წარმოდგენა ავტორის უტყუარ გემოვნებაზე.

ჟურნალის მეორე ცენტრად უსათუოდ უნდა ჩაითვალოს რუსეთის ცნობილ მწერალის ალ. ბლოკის უკვდავ „თორმეტის“ თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ; ეს ამ პოემის მეორე თარგმანია ქართულ ენაზე, თარგმანი სწორი, გამართული და მართალი. ზოგიერთ ადგილებში თარგმანს აქვს ნაკლიც, როგორც, მაგალითად—რუსულად: **а буржуй на перекрестке, в воротник укутал нос—**

ქართულად:

ეს გრიგალი გიჟი თუა!
ქარი მწვავე. ქარი ხშირი!
ჯვარედინზე ბურჟუამ
საყელოში ჩაჰყო ცხვირი.

ან ადგილი დამფუძნებელი კრების პლაკატის შესახებ. ძლიერ კარგი და მართალია პოემის თარგმნის დასასრული—რუსულად: **в белом венчике из роз-впереди Иисус Христос—**

ქართულად:

უხილავი, მიუწდომი,
მარგალიტის სუსტი კრთომით,
თეთრი ვარდების მთოვარი,
მათ წინ მიდის მაცხოვარი.

ძლიერ კარგ თარგმნად უნდა ჩაითვალოს გაფრინდაშვილისვე ვალერიან ბრიუსოვის „ქალაქი“, რომლის გვერდით მოთავსებულია იონა ვაკელის „მთვრალი ქალაქი“; ამ შემთხვევაში ეს ლექსი მოისუსტებს. საზოგადოთ, იონა ვაკელი ყველაზე უფრო ნიჭიერი მგოსანია ქართულ პროლეტარულ მწერალთა შორის, მას მეტი მოეთხოვება.

მოსწრებულია ჟურნალში ნეგრ რენე მარანის რომანის „ბატუალა“ მოყვანა და რომანის შესავლის მოთავსება. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ეს საუცხოვო შესავალი საშინელი ენით არის ნათარგმნი ქართულად.

რობერტ ბორანსი—პოეტი გლეხი, [illegible]ურათით, დახასიათებით, ლექსებით; ემილ ვერჰარნი თავისი „ტრიბუნით“, პროლეტარული პოეტი ელიოტი—ყველა ეს ჟურნალს უსათუოდ დიდ პლიუსებათ უნდა ჩაეწეროს. კარგი კი იქნებოდა, რომ ჟურნალი შემდეგში არ მოათავსებდეს ისეთ უნეირო და უშნო ლექსებს, როგორიც არის მარდან გარონის (ა. მაშაშვილის) „ქალაქის კედლებში“ და „ბავშობა“ ვლ. კირილოვისა. ჰკითხულობ მათ და თითქოს ბამბას ღეჭავ: არავითარი გემო, არავითარი გრძნობა. სუსტად უნდა ჩაითვალოს შიო მღვიმელის „რაშა“-ც.

ჟურნალში მოთავსებულია დიდძალი ილიუსტრაცია, განსაკუთრებით ჩათახის ქარხნის შესახებ, ამხ. მალაქია ტოროშელიძის სურათი, მიტინგი, ზეიმობა ჩათახში. რობერტ ბორანსი, განსვენებული ილია ნაკაშიძე, ანრი ბარბიუს, უპტონ სინკლერი და სხვები. არის აგრეთვე მხატვარ მოსე თოიძის სტუდიის მუშაობის ნიმუშებიც. პირველ გვერდზე მოთავსებულია მუშათა სასახლეს სურათი თბილისში. ყველა ეს სურათები დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ჟურნალი ძლიერ კარგ ქაღალდზეა გამოშვებული და იაფიც (200 ათასი) ღირს.

ჟურნალს კარგი მომავალი აქვს.

და—ძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 101.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი მეურვეობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება მეურვეობის შესახებ.

თ ა ვ ი I

მეურვეობის ორგანოები.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეურვეობის საქმეს განაგებს: არა სრულწლოვანისას—განათლების სახალხო კომისარიატი, ხოლო სრულწლოვანისას, არა ჭკუამყოფელისა და შეშლილისა, მფლანგველისა და წერა-კითხვის უცოდინარი ყრუ-მუნჯისას—იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

2. აღნიშნული კომისარიატები მოქმედებენ ქვემოდ დასახელებულ დაწესებულებათა მეშვეობით, რომელნიც ჩაითვლებიან სამეურვეო დაწესებულებად და თავის მიზანს მეურნეობის საქმეში განახორციელებენ მეურვეთა მეშვეობით.

3. სახალხო განათლების კომისარიატის სამეურვეო დაწესებულება არის: ქ. ტფილისში—არა სრულწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილება, სამაზრო ქალაქებში—სახალხო განათლების განყოფილება, ხოლო სოფლად სახალხო განათლების უახლოესი განყოფილება, რომელიც მოქმედობს თემის აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

4. იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამეურვეო დაწესებულებათ ჩაითვლებიან სახალხო მოსამართლენი.

5. ამ სამეურვეო დაწესებულებათა მოვალეობა, მეურნეობაში მყოფთათვის ზრუნვის საერთო ღონისძიებათა გარდა, შეადგენს მეურვეობის დაწესება და გაუქმება, მეურვის დანიშვნა და დათხოვნა და მისი მოქმედების საერთო ზედამხედველობა.

6. სახალხო განათლების კომისარიატს ექვემდებარება: მცირე წლოვანთათვის ზრუნვის საერთო ღონისძიებათა ხელმძღვანელობა და სახალხო განათლების განყოფილებათა მოქმედების ზედამხედველობა.

7. მეურვე დაიცავს მეურვეობაში მყოფის ყველა პირადსა და ქონებრივ ინტერესს და ჩაითვლება მის კანონიერ წარმომადგენლად.

თ ა ვ ი II.

მეურვეობის დაწესება და გაუქმება

8. მეურვეობა დაწესდება არა სრულწლოვანისათვის, სრულწლოვანთა შორის კი სულით ავადმყოფისა, მფლანგველისა და წერა-კითხვის უცოდინარი ყრუ-მუნჯისათვის და განხორციელდება სამისოდ სპეციალურად დანიშნული მეურვის მიერ.

9. არა სრულწლოვნად ჩაითვლება ის, ვისაც 18 წელი არ შესრულებია.

10. მეურვეობაში მიცემულ უნდა იქნეს ყველა არა სრულწლოვანი, რომელიც არ იმყოფება მშობლებისა ან ერთი მათგანის ზრუნვაზე.

11. სულით ავადმყოფი მიცემულ უნდა იქნეს მეურვეობაში, უკეთუ დადგენილი წესით ცნობილ იქნება, რომ იგი სულით ავადმყოფია.

12. მეურვეობა უნდა დაწესდეს მეურვეობაში მისაცემი პირის საცხოვრებელ ადგილას, ხოლო მისი ქონებისათვის, უკეთუ ეს ქონება სხვაგან აქვს,—ამ ქონების ადგილას.

13. როდესაც მეურვეობის დაწესება საჭიროა 10 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ გარემოებას აცნობებს სამეურვეო დაწესებულებას ის თანამდებობის პირი და დაწესებულება, რომელსაც თავისი სამსახურის გამო ასეთი შემთხვევა ეწყება, და აგრეთვე მეურვეობაში მისაცემი პირის მახლობელი და თვით ეს პირიც.

14. როდესაც მეურვეობის დაწესება საჭიროა 11 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ გარემოებას აცნობებს დაინტერესებული პირი და დაწესებულება იმ ადგილის სახალხო მოსამართლეს, სადაც ავადმყოფი ცხოვრობს.

15. ასეთი ცნობის მიღებისას სახალხო მოსამართლე მოქმედობს თანახმად განსაკუთრებული ინსტრუქციისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სულით ავადმყოფთა შემოწმება მოხდება იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცალკე ინსტრუქციით.

16. სულით ავადმყოფად ცნობილის მეურვედ ინიშნება ქმედობა-უნარიანი პირი, რომელიც ავადმყოფის სიკვდილის შემდეგ შეიძლება მისი მემკვიდრე იყოს.

17. მეურვეობის დანიშვნის შესახებ განცხადება უნდა იქნეს გამოკრული იმ დაწესებულებაში, რომელიც მეურვეობას დაჰნიშნავს.

18 დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ერთი თვის განმავლობაში, განცხადების დაწესებულებაში გამოკვრის დღიდან, გაასაჩივროს დადგენილება მეურვეობის დანიშვნის შესახებ იმ ადგილის სასამართლოში, სადაც მეურვეობის დამნიშვნელი დაწესებულებაა, ხოლო თუ მეურვეობა დაწესებულია სახალხო მოსამართლის მიერ—სახალხო მოსამართლეთა საბჭოში.

19. მეურვეობა მოისპობა, უკეთუ მისი დაწესების საფუძველი აღარ არსებობს.

20 მეურვეობა არა სრულწლოვანისა მოისპობა, როგორც კი მას 18 წელი შეუსრულდება.

21 მეურვეობა სულით ავადმყოფისა მოისპობა სახალხო მოსამართლის დადგენილებით, როდესაც ადგილობრივი განყოფილება აუწყებს სახალხო მოსამართლეს, რომ ეს პირი განკურნებულადაა ცნობილი.

თ ა ვ ი III.

მეურვის დანიშვნა და დათხოვნა.

22. მეურვე დანიშნულ უნდა იქნეს ერთი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც სათანადო დაწესებულება, რომელიც გამგებლობს მეურვეობას, შეიტყობს ასეთი დანიშვნის საჭიროებას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ერთი და იგივე მეურვე შეიძლება დაენიშნოს როგორც ერთს, ისე რამდენსამე პირს; შესაძლებელია აგრეთვე თანამეურვის დანიშვნაც.

23. მეურვედ უნდა დაინიშნოს სრულწლოვანი, რომელსაც აქვს ამ მოვალეობის ასრულების უნარი.

24. მეურვედ არ შეიძლება დაინიშნოს:

ა) ის, ვინც თვით იმყოფება მეურვეობაში.
ბ) სასამართლოს წესით უფლება შეზღუდული,
გ) ის, ვისი ინტერესიც ეწინააღმდეგება მეურვეობაში მყოფის ინტერესს და განსაკუთრებით ის, ვინც მისდამი მტრულად არის განწყობილი.

25 მეურვის დანიშვნის დროს უპირატესობა მიეცემა იმ პირს, ვისაც აირჩევს მეურვეობაში მისაცემი, (უკეთუ იგი სულით ავადმყოფი არ არის და მას 14 წელი შესრულებია), ან მისი დედა თუ მამა, ხოლო უკეთუ ისეთი პირი არ აღმოჩნდა—მეურვეობაში მისაცემი პირის მახლობელ ნათესავს ან მეუღლეს.

26. მეურვეს დანიშვნის დროს იმ პირთაგან, რომელიც ნაჩვენებია 25 მუხლში, დაწესებულებამ, რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს, მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც პირადი დამოკიდებულება დასანიშნი მეურვისა და მეურვეობაში მისაცემ პირს შორის, ისე საცხოვრებელი ადგილის სიახლოვე.

27. მეურვედ არჩეულ პირს დაუყოვნებლივ ეცნობება წერილობით მისი მეურვედ დანიშვნა. ამავე დროს ამის შესახებ უნდა გამოიკრას განცხადება იმ დაწესებულებაში, რომელიც მეურვეობას დაჰნიშნავს.

28. გასაჩივრება დადგენილებისა, ამა თუ იმ პირის მეურვედ დანიშვნის შესახებ სწარმოებს იმავე წესით და იმავე ვადაზე, რაც აღნიშნულია 18 მუხლში.

29. საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, რომელიც დაინიშნება მეურვედ, ვალდებულია იკისროს მეურვეობა.

3 . მეურვეობაზე უარის თქმა შეუძლიან,

ა) იმას, ვისაც 60 წელი შეუსრულდა;
ბ) იმას, ვინც ფიზიკური ნაკლის გამო გაჭირვებით თუ შესძლებდა მეურვის თანამდებობის ასრულებას;
გ) იმას, ვინც ახორციელებს მშობლიურ უფლებას ორისაზე მეტ შვილის მიმართ;
დ) იმას, ვინც ერთ მეურვეობას უკვე ეწევა.

31. უკეთუ არსებობს ერთ-ერთი, 30 მუხლში აღნიშნული მიზეზი მეურვეობაზე უარის თქმისათვის, მეურვედ დანიშნულს ერთი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მას მეურვედ დანიშვნა ეცნობება, შეუძლიან განახორციელოს უარის თქმის უფლება, ხოლო თუ უარი არ განაცხადა, ეს განუცხადებლობა თანხმობად ჩაითვლება.

32. უკეთუ განცხადებული უარი საფუძვლიანად იქნა ცნობილი, მეურვედ სხვა პირი უნდა იქნეს ამორჩეული, ხოლო, ვიდრე ახლად დანიშნულ მეურვეს გადაეცემოდეს მეურვეობა, უარის განმაცხადებელი ვალდებულია შეასრულოს მეურვის მოვალეობა.

33. მეურვეობა მიღებულად ჩაითვლება იმ დღიდან, როდესაც არჩეული პირი მიიღებს უწყებას მისი მეურვედ დანიშვნის შესახებ.

34. მეურვის მოვალეობა მოისპობა მეურვეობის გაუქმებასთან ერთად, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია 24 მუხლით.

35. მეურვე შეიძლება გადაყენებულ იქნეს სათანადო სამეურვეო დაწესებულების დადგენილებით, უკეთუ აღმოჩნდება, რომ იგი დაუდევარია და ბოროტად იყენებს თავის უფლებას, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა იმდენად არა-კმასაყოფილად ასრულებს მეურვის მოვალეობას, რომ მეურვეობაში მყოფი პირის ინტერესებს საფრთხე მოელის.

36. მეურვის დათხოვნა ერთ-ერთი იმ საფუძვლით, რაც აღნიშნულია 35 მუხლში, შეიძლება მოითხოვოს, როგორც თვით მეურვეობაში მყოფმა, აგრეთვე ყოველმა დაინტერესებულმა მესამე პირმაც.

37. მეურვის დათხოვნაზე დადგენილების გამოტანამდე სამეურვეო დაწესებულება მოვალეა გამოიძიოს საქმის გარემოება და გამოკითხოს მეურვე.

38. უკეთუ მეურვეობის აღსრულების რის აღიძვრის ისეთი გარემოება, რაც თანახმად 30 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტისა საფუძველი იქნება მეურვეობის თავიდან აცილებისათვის, მეურვეს შეუძლიან ითხოვოს მეურვეობიდან დათხოვნა 31 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

განმარტება.

ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის გამოყენების შესახებ.

შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის გამოყენების შესახებ. ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს.

1. დამქირავებელს უფლება აქვს დაითხოვოს მშრომელი სისხლის სამართლის ქმედობის ჩადენისათვის, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მის სამუშაოსთან,—ხოლო იმის შემდეგ, როცა კანონიერ ძალაში შევა სასამართლოს საბრალმდებლო განაჩენი ან როცა დაქირავებული ორ თვეზე მეტს ხანს არის დაპატიმრებული.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც მშრომელი დროებით არის გადაყენებული თავის მოვალეობის ფაქტიურ აღსრულებიდან—იმის გამო, რომ მას ედება ბრალი 1-ლ მუხლში გათვალისწინებულ ქმედობის ჩადენაში, დამქირავებელი მოვალეა აძლიოს შრომის ხელფასი იმ მომენტამდე, როცა სასამართლო იცნობს მას დამნაშავედ და როცა კანონიერ ძალაში შევა საბრალმდებლო განაჩენი.

3. იმ შემთხვევაში, თუ მშრომელის დროებითი გადაყენება თავის მოვალეობის აღსრულებიდან ზემო-ხსენებულ მიზეზის გამო მოხდა საგამომძიებლო ხელის უფლების მოთხოვნით, ადმინისტრაცია ვალდებულია მისცეს მას შრომის სრული ხელფასი მხოლოდ ორი თვის განმავლობაში, დღიდან მისი გადაყენებისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ მშრომელი იქნა სასამართლოს მიერ გამართლებული ან და მოხდა მისი რეაბილიტაცია სასამართლომდე მაშინ გადაყენებული უნდა იქმნეს აღდგენილი თავის სამსახურში, მხოლოდ მას არ მიეცემა ჯილდო იმ დროისათვის, რომლის განმავლობაში მას არ ეძლეოდა შრომის ხელფასი.

4. 47 მუხ. „ე“-ს აზრ-დასკვნილობა არ ვრცელდება დაქირავებულის დაპატიმრების და გადაყენების ყველა სხვა შემთხვევებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მის სამუშაოსთან.

ა. | კ. შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ბახუტოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის გასატარებლად მობილიზაციით იწვევს შემდეგ ამხანაგებს: 1. ერქომაიშვილს. 2. ანშილევიჩს, 3. ძაგანიას, 4. კანდელაკს, 5. მუს. ისმაილოვს, 6. ტოროშელიძეს, 7. ერისთოვს. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები ვალდებული არიან გამოცხადდენ ოთხშაბათს, 20 ივნისს, დღის 2 საათზე ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში სათანადო დირექტივების მისაღებად.

თბილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: ესენი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის IV რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 20 ივნისს, დღის 12 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება

IV რაიონის პოლიტიკურ წრეების მამასახლისების თათბირი-

დასწრება ყველა მამასახლისების და ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების, რომელნიც მობილიზაციის წესით მოწვეულნი არიან პოლიტიკურ წრეების მუშაობის გასასინჯავად, სავალდებულოა. 1) სურევენკოვი, 2) ალავერდიანი, 3) კასიანი, 4) ფროლოვი, 5) დუდუჩავა, 6) ელისაბედაშვილი, 7) ჩოვიკოვი, 8) ტაკოევი, 9) სურხატიანი, 10) ხაჭოიანი, 11) ორახელაშვილი მარია.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე. არუსტანოვი.

კომუნისტურ სტუდენტობის ცენტრალური ბიურო წინადადებას აძლევს მუშათა ფაკულტეტებისა და უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს საქართველოს კომპარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის წევრებსა და კანდიდატებს, რომელნიც დაბადებულნი არიან 1901 წელში, გამოცხადდენ ცენტრალურ ბიუროში რეგისტრაციისათვის. ამ განკარგულების შეუსრულებლობისათვის, დამნაშავეთ მისჯილი ექნებათ სასტიკი პარტიული სასჯელი. რეგისტრაცია იწარმოებს ორშაბათიდან დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდი ცენტრალურ ბიუროს ტეხნიკურ მდივანთან. კომუნისტურ სტუდენტობის ცენტრალურ ბიუროს პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ სტეპანოვი.

— ცნობად და შესასრულებლად ცხადდება შემდეგი: საქართველოს კომპარტიის წევრები I და II რიგის მოსაწვევი ყოფილი ოფიცრები, უნტერ-ოფიცრები, კომანდების უფროსები, წითელი კომანდირები და სამეურნეო ნაწილის გამგეები უნდა გამოცხადდენ განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების შტაბში და მათზე დანიშნულ კომისიას უნდა ჩააბარონ გამოცდები სამხედრო საქმის ცოდნაში და შესაფერი ატესტაცია მიიღონ სამილიციო საკომანდო შემადგენლობის რომელიმე თანამდებობისათვის.

დასახელებული პირები უნდა გამოცხადდენ 20 ივნისიდან 23 ივნისამდე (თანდართვით) საღამოს 5 საათიდან დილის 9 საათამდი, 24 ივნისიდან 1 ივლისამდი დილის 8 საათიდან დღის 12 საათამდი.

გამოცდები იწარმოებს განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების შტაბთან. კარლ-მარქსის მოედანი № 2.

განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების უფროსი კვიტაშვილი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-IV საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 20 ივნისს, საღამოს 5 საათზე, რუსთაველის თეატრში დანიშნულია მთლიანი საუბნო კრება მე-IV რაიონის წევრებისა და კანდიდატებისა.

ყველას დასწრება სავალდებულოა პარტიული დისციპლინის ძალით, სწორედ საღამოს 5 საათზე, რადგანაც თეატრში შემდეგ წარმოდგენა დაიწყობა.

პასუხისმგებელი მდივანი: ხაცკევიჩი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი აცხადებს, რომ 20 ივნისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება

დელეგატების კრება

უჯრედების მდივნებთან და კომიტეტის წევრებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომის მუშაობის გასინჯვის შედეგების შესახებ. საკითხების მნიშვნელობის გამო ყველა დელეგატებისა და უჯრედების მდივნების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ: აკოპოვი.

წინადადება ეძლევა ამხ-ბს—ეპიფანე გოგოლაძეს, ილარიონ ანფიმიადის და კუზნეცოვს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში.

თბილისის კომიტეტის საორგ. განყ. გამგე: ჯანელიძე.

წინადადება ეძლევა ამხ. ოჰანეს იტრიევს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფ. გამგე: ვულფოვიჩი.

განცხადებები

შაბათს, 23 ივნისს, საღამოს 8 საათზე ფარმაცევტიულ განყოფილების შენობაში (ევანგულოვის ქ. № 12) შესდგება
საზოგადო კრება
უმუშევარ ექიმთა.
კავშირის სატარიფო ეკონომიურ განყ. გამგე: მიხაილოვი.
844 1—1 მდივანი: ლახკი.

კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი
საპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9–2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ. კვირაობით 9—2 ს. დღის
ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 788 25—8

ელექტრონის სინათლით და
სამკურნალო
სხივებით რენტგენის დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკური მეთოდებით ექიმობის საჭიროებენ.
ამბულატორიული განყოფილება ექ. სვიმონ ქიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20 (801 25—3)

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 517 გაცემული ტფ. ქართ. სახელ. უნივერსიტეტის მიერ იოსებ ურუშაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 847 1—1

დაიკარგა პასპორტი № 2002 ტრიფონ კურბარინცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 842 1—1

დაიკარგა სექიმო-სასანიტარო კავშირის საწევრო წიგნაკი სოფიო თუმანიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 843 1—1

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდების ჩაბარების წიგნაკი კალენიკე ჰეჰინაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 845 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1984 ნინა დოლიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 846 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი მათათა ბაჩკაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (840—1—1)

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ოზურგეთის მაზრის ერკეთის თემის აღმასკომიდან და ამავე მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან ნუსხა თავისუფლებისა აკაკი პაიჭაძის სახელობაზე, რომელთა №№ რი არ მახსოვს. ჩაითვალოს გაუქმებულად. (კვ. 841—1—1)

ტ. „ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.